

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებათა
და
ინსტრუქციათა
კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1982

ივლისი № 7 იული

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

СБОРНИК
ПРИКАЗОВ
И
ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1982

მოსწავლე ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ სსკპ 26-ე და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პროფილაქტიკის, სამართალდარღვევებზე ოპერატიული რეაგირებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების თვალსაზრისით.

გატარებული ღონისძიებების შედეგად უფრო სრულყოფილი და მოქნილი გახდა დანაშაულზე რეაგირებისა და მისი აღმოფხვრისათვის პროფილაქტიკური მუშაობის სისტემა; ამალდა ამ სფეროში დასაქმებულ მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობა და პროფესიული ოსტატობის დონე; განმტკიცდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და განათლების ადგილობრივი ორგანოების კავშირი ადმინისტრაციულ და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან. პერიოდულად ტარდება საქართველოს სსრ განათლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების კოლეგიების ერთობლივი გაფართოებული სხდომები, რომლებზეც ხდება სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლისა და სამართლებრივი აღზრდის საკითხების განხილვა, ყოველი წლის დასაწყისში დგება ერთობლივი მუშაობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის, მშობლებსა და მოსახლეობის ფართო მასებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და საშეფო მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თითოეული მომხდარი ფაქტის გამოძვევი მიზეზების შესწავლას და მის ანალიზს. არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის ყოველი კონკრეტული ფაქტი ხდება პედაგოგიური და მოსწავლეთა კოლექტივების პრინციპული მსჯელობის საგანი. უკანასკნელ დროს გატარდა რიგი ღონისძიებებისა შეილების მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის მშობელთა პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“, ფაკულტატური კურსის „კომუნისტური მორალის საფუძვლები“ სწავლების ხარისხი. დაიხვეწა და სრულყოფილი სახე მიიღო მასწავლებე-

ლთა დახელოვნების ინსტიტუტებში შემოღებულმა 24 საათიანმა სემინარმა „მოსწავლეთა ქცევის ფსიქოლოგიური ანალიზისა და მათზე შემოქმედების პედაგოგიური საშუალებების“ შესახებ. მოსწავლეებმა ლთა და სკოლის სხვა მუშაკთა გამამზადების კურსებზე ყოველი ჯგუფისათვის კვლავ გრძელდება ლექციების ციკლი ნარკომანიაზე, ნარკომანების გამოვლინებასა და მათთან პროფილაქტიკურ მუშაობაზე. გარდა აღნიშნულისა, მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში ქ. თბილისის ახლომდებარე რაიონების განათლების განყოფილებათა მუშაკებს, სკოლების დირექტორებსა და სამედიცინო პერსონალს ნარკომანიის რესპუბლიკური დისპანსერის მთავარმა ექიმმა ჩაუტარა სპეციალური საუბრები ნარკომანიების გამოვლინებისა და მათთან პროფილაქტიკური მუშაობის საკითხებზე.

გარკვეულ მუშაობას ეწევა ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შექმნილი მოსწავლეთა უზედამხედველობისა და სამართალდარღვევების პრობლემათა კვლევის სექტორი.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა შრომით მოწყობას, სკოლიდან განთესილთა და სწავლებაში ჩაუბმელი მოზარდების გამოვლინებისა და სკოლებში მათი დაბრუნების საკითხებს.

განვლილი ერთი წლის მანძილზე განხორციელებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად საგრძნობად ამაღლდა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დონე, მნიშვნელოვნად შემცირდა მეორეწლიანთა, არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების გამცდენ, სამართალდამრღვევ არასრულწლოვანთა რაოდენობა.

ამასთან, მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა, არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ჯერ კიდევ ადვილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს.

რესპუბლიკის სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები დღემდე მთელი ფრონტით არ იბრძვიან არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პროფილაქტიკისა და აღმოფხვრისათვის. სკოლის ხელმძღვანელები, პედაგოგიური კოლექტივები შეუწყნარებელ თვითდამშვიდებას იჩენენ და კრიტიკულად არ აფასებენ შექმნილ ვითარებას, ღრმად არ წვდებიან დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს, არ ღებულობენ კონკრეტულ და აუცილებელ ღონისძიებებს მათ გამოსასწორებლად.

სახალხო განათლების განყოფილებებთან არსებული დისციპლინის განმტკიცების, ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისა და დანაშაულის პროფილაქტიკის საკოორდინაციო კომისიების მუშაობაში ჯერ კიდევ არაა აღმოფხვრილი ნაკლოვანებები და ხარვეზები, სათანადო ყურადღება არ ეთმობა მოსწავლე ახალგაზრდობის შრომით მოწყობას, სა-

ზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში მათ აქტიურ ჩაბმას, შრომითი და სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცებას.

ყველა სასკოლო კომკავშირული ორგანიზაცია სრული დამატებით ბლობითა და თანმიმდევრობით ვერ ახერხებს არასრულწლოვანთა შორის ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა თავიდან აცილებას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებს სკკპ 26-ე და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების, ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესაბამისად სისტემატურად სრულყოფონ არასრულწლოვანთა შორის სამართლებრივი და აღზრდის პროცესი ფორმალურად და შაბლონთან ბრძოლის საფუძველზე. საერთო ჭეშმარიტების უაზრო გამეორების ნაცვლად, მისი შემოქმედებითი გააზრებით, უზრუნველყოფონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ცოცხალი, შემოქმედებითი ხასიათი.

2. სისტემატურად აამაღლონ „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ გაკვეთილების იდეური შინაარსი. ზნეობრივ-სამართლებრივი აღზრდის პროცესში მიაღწიონ მოსწავლეებში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის მიმართ ღრმა პატივისცემის გრძნობის ფორმირებას.

3. ყოველნაირად შეუწყონ ხელი მოსწავლეთა ზნეობრივ-სამართლებრივი აღზრდისათვის ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითების, მისი ნაშრომების გამოყენების დადებითი გამოცდილების ფართოდ დანერგვას. უნარიანად გამოიყენონ ამ მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებები, სკკპ და საბჭოთა სახელმწიფოს დოკუმენტები.

4. ყურადღებით შეისწავლონ „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ კურსის, კანონმდებლობისა და კომუნისტური მორალის საფუძვლების ფაკულტატივების, ასევე იმ პედაგოგთა მოწინავე გამოცდილება, რომლებიც ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო ციკლის საგნების სწავლების პროცესში წარმატებით წყვეტენ მოსწავლეთა ზნეობრივი და სამართლებრივი აღზრდის ამოცანებს. ფართოდ გაავრცელონ ეს გამოცდილება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების, საზოგადოება „ცოდნის“ პირველადი რგოლების მეშვეობით.

5. გაატარონ საჭირო ღონისძიებანი რესპუბლიკის ყველა სკოლაში

სწავლების ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაჩინო მასალებით აღ-
ჭურვილი სამართლის კაბინეტების შესაქმნელად.

6. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ პედაგოგიურ ზემოქმე-
დებას დაუმორჩილებელი მოსწავლეების ზნეობრივ-სამართლებრივი
შეგნების ფორმირებისათვის. ინდივიდუალური შესაძლებლობების
გათვალისწინებთ გამოუმუშაონ მათ ინტერესი კომუნისტური მორალის,
სამართლის საკითხების შესწავლისადმი. გამოუმუშაონ საკუთარი საქ-
მიანობისა და სხვებთან ურთიერთობის საზოგადოებრივი ქცევის ნორ-
მებთან შეთანხმების თვისებები, სასწავლო-აღმზრდევლობით პროცესში
ფართოდ გამოიყენონ „მოსწავლეთა წესები“ და „საზოგადოებრივ აღ-
გილებში ბავშვებისა და მოზარდების ქცევის წესები“. აუხსნან მოსწა-
ვლეებს ამ დოკუმენტების მნიშვნელობა, მათი მოთხოვნების შესრულე-
ბის აუცილებლობა.

7. პრაქტიკაში ფართოდ დანერგონ იურისტების, მშობელთა საზო-
გადოებრიობის, საშეფდ დაწესებულებების წარმომადგენელთა მოწვე-
ვით „ღია გაკვეთილების“ ჩატარება „საბჭოთა სახელმწიფოსა და სა-
მართლის საფუძვლების“ სწავლებისას.

8. კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის პროცესში: გაააქტი-
ურონ სკოლებში „ნორჩ იურისტთა“ და „ნორჩ სამართალმცოდნეთა“
წრეების საქმიანობა, ხოლო სადაც ასეთი წრეები ჯერ კიდევ არ არის
ჩამოყალიბებული, გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მათ შესაქმნელად.

აღნიშნული წრეების ხელმძღვანელებად, „საბჭოთა სახელმწიფო-
სა და სამართლის საფუძვლების“ პედაგოგთა გარდა, მოიწვიონ სასამა-
რთლოს პროკურატურის და შინაგან საქმეთა ორგანოების წარმომადგენ-
ლები.

9. სრულყოფილ მოსწავლეთა სამართალდამცველი გაერთიანებების სა-
ქმიანობა, შეუხამონ იგი ადგილობრივ სპეციფიკას (ქალაქში — „მი-
ლიციის ნორჩი მეგობრები“, „ნორჩი ძერჟინსკელები“, „მოძრაობის ნო-
რჩი ინსპექტორები“, სოფლად „მწვანე“ და „ცისფერი“ საფუძვლები,
სასკოლო სატყეოები და სხვ.); შეიმუშაონ ღონისძიებები აღნიშნულ
გაერთიანებებში პედაგოგიურ ზემოქმედებას დაუმორჩილებელ მოზარ-
დთა აქტიურად ჩასაბმელად.

10. მოსწავლეთა მხრივ მორალური ნორმების დარღვევის შემთხვე-
ვების განხილვისას უფროს კლასებში ფართოდ გამოიყენონ „ღირსე-
ბის ამხანაგური სასამართლოები“, სასკოლო კედლის გაზეთების, რადიო-
რედაქციების შესაძლებლობანი დაუკავშირონ ისინი სასკოლო ცხოვ-
რების შესაბამის საკითხებს.

11. უფრო აქტიურად ჩააბან კომკავშირისა და მოსწავლეთა კომი-
ტეტები ზნეობრივ-სამართლებრივი აღზრდის მიზნით ჩატარებულ სპე-
ციალურ ღონისძიებებში, თემატური დილებისა და საღამოების, იუ-
რიდიული ვიქტორინების, კითხვა-პასუხის საღამოების და ა. შ. ორგა-
ნიზაციაში.

12. სამართალდამცველ ორგანოებთან ერთად კვლავაც სრულყოფილ მოსწავლეთა სამართლებრივი და ზნეობრივი აღზრდის ერთიანი სისტემა. ამ მიზნით უფრო ფართოდ გამოიყენონ სამეცნიერო დაწესებულებები და საზოგადოებები.

13. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ არასრულწლოვანთა აღზრდას ოჯახში. გამოავლინონ მოზარდები, რომლებიც საჭიროებენ სახელმწიფო დახმარებას, განახორციელონ ღონისძიებანი მოზარდების ან მათი შემცველი პირებისათვის დახმარების გასაწევად; გააუმჯობესონ მშობელთა შორის პედაგოგიური და სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდა. ამ მიზნით გააფართოონ ზნეობრივ-სამართლებრივი აღზრდის სახალხო უნივერსიტეტების ქსელი.

14. ამჟამად სკოლებში შექმნილი „მამათა საბჭოების“ ქმედითობა, ხოლო, სადაც ასეთი საბჭოები დღემდე არაა ჩამოყალიბებული, შექმნან ყველა პირობა მათი ჩამოყალიბებისა და ეფექტური მუშაობისათვის.

15. სრულყოფილ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან შექმნილი „დასვენების დღის კლუბების“ საქმიანობა. გაატარონ საჭირო ღონისძიებები მოსწავლეთა თავისუფალი დროის სწორი და შინაარსიანი გამოყენებისათვის.


16. მეტი დახმარება და ხელისშეწყობა აღმოუჩინონ საზოგადოებრივ აღმზრდელებს. სისტემატურად განაზოგადონ მათი მუშაობის მოწინავე გამოცდილების შესწავლა-განზოგადება, განამტკიცონ სკოლისა და საწარმო-დაწესებულებათა ურთიერთკავშირი.

17. იზრუნონ იმისათვის, რომ სამართალდარღვევის არც ერთი ფაქტი არ დარჩეს სათანადო რეაგირების გარეშე, შეისწავლონ მისი გამომწვევი მიზეზები, დროულად გაატარონ პროფილაქტიკური ღონისძიებები და, არსებული წესის სრული დაცვით, 10 დღის ვადაში აცნობონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს.

18. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მ ი ნ ი ს ტ რ ი

ო. ქინქლაძე



მოსწავლე ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ

სკკპ 26-ე ყრილობაზე დიდი შეფასება მიეცა საბჭოთა მასწავლებლების იმ რთულსა და კეთილშობილურ საქმიანობას, რომელსაც ისინი ეწევიან მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდისათვის, ჩვენნი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად მათი ჩამოყალიბებისათვის. ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას, სწავლების ხარისხის ამაღლებას. ამასთან, ხაზი გაესვა იმას, რომ საჭიროა აღმოიფხვრას ფორმალიზმი მასწავლებლებისა და მოსწავლეთა შრომის შეფასებაში, საქმით უნდა განმტკიცდეს ცხოვრებასთან სკოლის კავშირი, გაუმჯობესდეს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის მოსწავლეთა მომზადება.

ამ ამოცანების ცხოვრებაში განხორციელება სახალხო განათლების ორგანოების, სკოლების, ოჯახის, შრომითი კოლექტივების, მასიური ინფორმაციის საშუალებებისაგან მოითხოვს დიდ შემოქმედებით მუშაობას, ორგანიზებულობასა და ინიციატივას. აქ გადაწყვეტი როლი, როგორც ყრილობაზე იქნა მითითებული, ეკუთვნის მასწავლებელს. იყოს მისი ერთგული მოკავშირე და აქტიური დამხმარე — ყოველი მშობლის, საზოგადოებრიობის ნებისმიერი წევრის, ყველა საბჭოთა ადამიანის მოვალეობაა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა მთელ თავიანთ საქმიანობას საფუძვლად დაუდეს სკკპ 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებები და განვილინო ერთ წლის მანძილზე პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებები. დიდი ყურადღება დაეთმო არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევათა ჩადენის თავიდან აცილებას, ყოველ მომხდარ დანაშაულზე ოპერატიული რეაგირებისა და პროფილაქტიკური მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს.

განათლების სამინისტროში შეიქმნა გარკვეული სისტემა: შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული სადღეღამისო შეტყობინებების საფუძველზე მოსწავლეთა მიერ ჩადენილი ყოველი დანაშაულის ფაქტზე ოპერატიულად ხდება რეაგირება. მიღებულ ინფორმაციებში გატარებულ ღონისძიებებთან ერთად ნაჩვენებია, თუ რა გაკეთდა ადგილებზე ახლოგოური ფაქტების გამოწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად და პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერების თვალსაზრისით.

დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან საქმიანმა კონტაქტებმა, ორგანიზაციული, იდეოლოგიური, სამეცნიერო-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული წამოწყებების კომპლექსმა შესაძლებელი გახადა

1981 წელს სამართალდარღვევათა რიცხვის შემცირება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შორის. არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ მიმართებით ახმეტის, მაიაკოვსკის, თიანეთის, წულუკიძის, ვაკის რაიონების სახალხო განათლების ორგანოების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ გაწეული საქმიანობა ბოლო სამი წლის მანძილზე დანაშაულს ადგილი არ ქონია ხულოს, ასპინძისა და ლენტეხის რაიონებში.

წარმატებები უპირველეს ყოვლისა განაპირობა იმან, რომ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სახალხო განათლებისა და აღმინისტრაციული ორგანოები უფრო საგნობრივად, კონკრეტულად ეკიდებიან აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის საკითხებს.

სახალხო განათლების ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მოსწავლე ახალგაზრდობის სამართლებრივი სწავლებისა და აღზრდის საკითხებს. საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლება იწვევს ცხოველ ინტერესს მოსწავლეებში. მეცადინეობებზე ისინი ღებულობენ იურიდიული ცოდნის იმ აუცილებელ მინიმუმს, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ყოველი მოქალაქე უნდა ფლობდეს. რესპუბლიკის სკოლებში აღნიშნული საგნის სწავლების გარკვეული დადებითი გამოცდილება დაგროვდა. ბევრი პედაგოგი კარგად ახერხებს ამ საგნის სწავლების პროცესის სხვა სასწავლო დისციპლინებთან დაკავშირებას. საკმაოდ ვრცელ სამართლებრივ ინფორმაციას ბავშვები ღებულობენ ლიტერატურის, საზოგადოებათმცოდნეობის, ისტორიის გაკვეთილებზე, მიმართავენ რა იგივე ლიტერატურული წყაროების მაგალითებს, მასწავლებლები აღწევენ უფრო მისაწვდომი გახადონ მოსწავლეთა აუდიტორიისათვის გადასაცემი მასალა. მეცადინეობებზე ქალაქის, რაიონის, სოფლის ცხოვრებიდან მოყვანილი კონკრეტული მასალა ეხმარება მოსწავლეებს უკეთ აღიქვან ყოველდღიურ ურთიერთობებში კანონის როლი და მნიშვნელობა. დღეს რესპუბლიკის სკოლებში ფართოდ იყენებენ თვალსაჩინოებას აღნიშნული საგნის სწავლების პროცესში. უმეტეს სკოლებში შექმნილია სამართლებრივი აღზრდის კუთხეები და კაბინეტები. საკმაოდ კარგად არის გადაწყვეტილი საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების მასწავლებელთა გადამზადების საკითხი. გადამზადების კურსები განვილილ ხუთწლეულში გაიარა ყველა მასწავლებელმა, გასული წლის ნოემბერში მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის, რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს აქტიური მხარდაჭერითა და დახმარებით ჩატარ-

და ამ საგნის მასწავლებელთა სპეციალური ორკვირიანი კურსები ყველა ინსტიტუტის ბაზაზე, რომელიც 240 მასწავლებელმა გაიარა. საგნის მასწავლებლებად ძირითადად ისტორიკოსები არიან გამოყენებული, ამასთან, რესპუბლიკის ზოგიერთ სკოლაში საბჭოთა სახელმწიფოს სამართლის საფუძვლებს იურისტებიც ასწავლიან, ისინი, რომელთაც პედაგოგიური მუშაობის გარკვეული გამოცდილება გააჩნიათ და არ უძნელდებათ მოსწავლეთა კოლექტივებთან საქმიანი, არსებითი კონტაქტების დამყარება.

ვასილი სასწავლო წლის ბოლოს დედაქალაქის 2197 მერვეკლასელისათვის, რომლებიც „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლებს“ გადიან, სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის პროცესში ღია გაკვეთილები ჩატარეს დედაქალაქის სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელმა ამხანაგებმა, სკოლებში გავიდნენ შინაგან საქმეთა, პროკურატურის, სასამართლოს, იუსტიციის სამინისტროს მუშაკები. ამ მიმართებით გადადგმულმა პირველმა ნაბიჯებმა კარგი შედეგი გამოიღო.

მასწავლებელთა სამართლებრივი განათლების მიზნით დახელოვნების ინსტიტუტებმა უკვე მეორე წელია შემოიღეს 24 საათიანი სემინარი „მოსწავლეთა ქცევის ფსიქოლოგიური ანალიზი და მათზე ზემოქმედების პედაგოგიური საშუალებები“.

რესპუბლიკის ბევრ სკოლაში მტკიცედ დამკვიდრდა ფაქულტატიური კურსი „კომუნისტური ზნეობის საფუძვლები“. მოსწავლე ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდისა და განათლების პრობლემებზე მუშაობს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი. აქ მომზადდა და რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს დაეგზავნა მეთოდური ლიტერატურა შესაბამისი რეკომენდაციებით.

სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და დანაშაულის პროფილაქტიკის მიზნით მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების პერიოდში მუშაობდა არასრულწლოვანთა სპეციალიზებული სამხედრო-სპორტული ტიპის 7 ბანკი, სადაც დაისვენა 660 მოსწავლემ უფროსკლასელთა შრომით რაზმებში გაიგზავნა 500-ზე მეტი მოზარდი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები, ხელმძღვანელობენ რა საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით რესპუბლიკაში ნარკომანიის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ ჯანმრთელობისა და შინაგან საქმეთა ორგანოებთან ერთად, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერითა და დახმარებით გარკვეულ მუშაობას ატარებენ მოსწავლე ახალგაზრდობას შორის თამბაქოს წევის, ნარკომანიის, სამართალდარღვევათა სხვა ფაქტების აღკვეთისა და პროფილაქტიკის მიზნით.

ბევრ ქალაქსა და რაიონში უფრო ქმედითი და მიზანდასახული გა-

ხდა ადმინისტრაციულ და ჯანმრთელობის ორგანოებთან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ერთობლივი საქმიანობა ამ მიმართებით. მოსწავლე ახალგაზრდობაში ნარკომანიის გავრცელების თავიდან აცილებებისა და პროფილაქტიკური მუშაობის დროულად წარმართვის მიზნით განხორციელების სამინისტროს მიერ გატარდა რიგი არსებითი ხასიათის ღონისძიებებისა, რომლებმაც დადებითი შედეგები გამოიღო.

განათლების სამინისტრო მოზარდა შორის ნარკომანიის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის წინაპირობად განიხილავს თამბაქოს წვევას, ამიტომ, დღითიდღე ძლიერდება მასიური პროფილაქტიკური ღონისძიებები თამბაქოს წვევის წინააღმდეგ. სამინისტრომ მიიღო სპეციალური დადგენილება, როლის მიხედვით მოსწავლეებში თამბაქოს ყვევის ჩვევების აღმოფხვრა მიჩნეულია სკოლის მუშაკთა და პედაგოგიური საზოგადოებების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად, აღმზრდელობითი პროცესის არსებით შემადგენელ ნაწილად.

აღნიშნული საკითხი გახდა მსჯელობის საგანი განათლების სამინისტროს კოლეგიაზე გასული წლის მარტში. ამ საქმისადმი გულგრილი, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის კოლეგიის გადაწყვეტილებით მთელი რიგი სკოლების ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებს დაედოთ მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი.

განათლების ორგანოები შესაბამის ჯანმრთელობისა და ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთობლივი კომპლექსური გეგმის საფუძველზე წარმართავენ თავიანთ საქმიანობას. გასული სასწავლო წლის ბოლოს მათთან ერთად ჩატარდა რეიდები დედაქალაქის რამდენიმე სკოლაში ნარკომანიისადმი მიდრეკილების მქონე მოზარდა გამოკვლევისა და მათთან შემდგომი პროფილაქტიკური მუშაობის ჩატარების მიზნით.

რეიდების შედეგად მიღებული მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ საჭირო იყო უფრო ქმედითი და არსებითი ხასიათის დახმარების გაწევა სკოლების ხელმძღვანელებისადმი, პედაგოგიური კოლექტივებისადმი, სამინისტროს თხოვნით ახალი სასწავლო წლის დასაწყისშივე ნარკოლოგიის რესპუბლიკური დისპანსერიის მთავარი ექიმი შეხვდა თბილისის ყველა სკოლის დირექტორს და სამედიცინო პერსონალს. ამ შეხვედრებზე მოწვეული ამხანაგები ბევრ, დღემდე მათთვის გაუგებარ, ამასთან საქმისათვის აუცილებელ საკითხებში გაერკვნენ. მიიღეს ელემენტარული ინფორმაცია ნარკომანიასთან ბრძოლის საკითხებზე, პროფილაქტიკური მუშაობის თავისებურებებზე, მუშაობის გზებსა და მეთოდებზე.

გატარდა რიგი ღონისძიებებისა იმ მიმართებით, რომ ამაღლდეს მასწავლებელთა კომპეტენტურობა ნარკომანიასთან ბრძოლის საკითხებში, რესპუბლიკის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებში ყველა სახის კურსებზე იკითხება ორსაათიანი ლექცია „ნარკომანიის გამოკვლევისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ხერხები და საშუალებანი“.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ განათლების განყოფილებებში აღზრდის დარგში მეთოდისტის გამოყოფამ სულ რამდენიმე თვეშიც კი გარკვეული დადებითი შედეგები მოგვცა აღმზრდელითი მუშაობის კოორდინაციის საკითხებში ადგილებზე. შესაძლებელი გახდა ინტორმაციის ოპერატიულად მიღება და მიღებული მასალის დროული ანალიზი.

გარკვეული პროფილაქტიკური ღონისძიებები გატარდა იმ მოზარდების მიმართ, რომლებიც იზრდებიან არაკეთილსაიმედო ოჯახებში, რადგანაც მშობლების ამორალური საქციელი, ლოთობა, მეუღლეთა შორის ხშირი უსიამოვნება, ოჯახის დანგრევა უდიდეს უარყოფით გავლენას ახდენს მოზარდის სულიერ სამყაროზე, ასეთი ოჯახიდან გამოსული მოზარდი ადვილად ექცევა იმ პირთა გავლენის ქვეშ, რომლებიც დამინათვეთა კატეგორიას განეკუთვნებიან.

რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში აღირიცხა ასეთი ოჯახები. სამინისტროს მიერ გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად მათი ერთი ნაწილი (600-ზე მეტი ბავშვი) გადაყვანილი იქნა სკოლა-ინტერნატებში. ისინი შევიდნენ მოსწავლეთა იმ კატეგორიაში, რომელთა მშობლებიც მთავრობის დადგენილების საფუძველზე თავისუფლდებიან, ან ნაწილობრივ თავისუფლდებიან ბავშვის შენახვისათვის საჭირო თანხების გადახდისაგან.

საქართველოს სსრ მოსწავლეებთან მე-4 ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, მშობლებთან მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით გორისა და ზუგდიდის რაიონებში, ქ. რუსთავეში შეიქმნა მშობელთა საზოგადოებები საზოგადოებრივ საწყისებზე, რომლებიც თავიანთ საქმიანობას დამფუძნებელ კონფერენციაზე დამტკიცებულ დებულებების შესაბამისად წარმართავენ. ბევრ სკოლაში შეიქმნა მამათა საბჭოები, რამაც უფრო გაააქტიურა მშობელთა, განსაკუთრებით მამების მონაწილეობა სსსწავლო-აღმზრდელითი პროცესში. შედეგიც საკმაოდ კარგია.

განვილო კერიოდში დიდი ყურადღება დაეთმო მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების არასაპატიო მიზეზებით გაცდენისა და მეორეწლიანობასთან ბრძოლის გაძლიერების საკითხებს, მთელი რიგი არსებითი ღონისძიებების გატარების შედეგად საგრძობლად იკლო გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენისა და მეორეწლიანობა რაოდენობამ (1979-1980 სსსწავლო წელს არასაპატიო მიზეზით გაცდა 3526034 საათი, იყო 4130 მეორეწლიანი, 1980-1981 სსსწავლო წელს არასაპატიო მიზეზით გაცდა 2 360372 საათი, იყო 3096 მეორეწლიანი, შესაბამისად 1 165 662 საათითა და 1 034 მეორეწლიანით ნაკლები).

რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების მიერ გაწეული გარკვეული სახის მუშაობის მიუხედავად, ჯერ კიდევ დიდია არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის საერთო რესპუბლიკურ მაჩვენებელში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მიერ ჩადენილ

სამართალდარღვევათა ხვედრითი წონა. ბავშვთა დამნაშავეობა ჯერ კიდევ შემამოფოთებლად მნიშვნელოვანია როგორც თავისი სტატისტიკით, ისე თავისი გამოვლინების ფორმითაც.

სამწუხაროდ, რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში სახალხო განათლების ორგანოები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა პედაგოგიური კოლექტივები ჯერ კიდევ ყველაფერს ვერ აკეთებენ მოსწავლეთა შორის დანაშაულებრივ ქმედებათა თავიდან აცილებისა და დანაშაულის დროული პროფილაქტიკის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ სუსტია კონტაქტი ადმინისტრაციულ ორგანოებთან, სრულად არ არის გამოყენებული არსებული შესაძლებლობები. საქმისადმი ასეთმა მიდგომამ განაპირობა სერიოზული ნაკლოვანებები აფხაზეთში. მიუხედავად იმისა, რომ წინა წელთან შედარებით დანაშაულთა ფაქტმა და მასში მონაწილეთა რაოდენობამ ოდნავ იკლო, მდგომარეობა კვლავ ძალზე არასახარბიელოა. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა გაგრამში, ვალში, გუდაუთაში, ოჩამჩირეში. შემოფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ ძალზე დიდია პირადი და სახელმწიფო ქონების ქურდობის ფაქტები.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის, რომ მომუშავე ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეთა ერთი ნაწილი არ არის შრომით დასაქმებული; არასაპატიო მიზეზებით ხშირად აცდენს გაკვეთილებს, დარჩენილია ყოველგვარი ყურადღებისა და კონტროლის გარეშე. ესეც გარკვეულწილად ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ მართლწესრიგის დარღვევას. (აბაშის, ბათუმის, ვანის, ვალის, ლანჩხუთის, ხელვაჩაურის, სოხუმის, მცხეთის ონის, ბოლნისის რაიონები, თბილისის გლდანის, ლენინის, კალინინის, კიროვის რაიონები, ქალაქები გორი და ქუთაისი, (თბილისის 26 კომისრის და საქარხნო, დუშეთის, სიღნაღის, სოხუმის, გარდაბნის ახალციხის რაიონები).

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს განათლების მინისტრის ბრძანება აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდისტების გამოყოფის შესახებ, სამწუხაროდ, ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში ბრძანება დღემდე არ არის შესრულებული. როგორც აღინიშნა, ძალზე ცუდი მდგომარეობაა გაგრის ზონაში, სადაც კვლავ დიდია დანაშაულის ფაქტები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შორის. აქ აღნიშნულ საკითხებზე ხელმძღვანელობა დაევალა ამხ. ვ. ნაზარიანს, რომელსაც საკმაოდ დიდი დატვირთვა აქვს. არის რუსული ენისა და ლიტერატურის მეთოდისტი,

არჩეულია ადგილკომის თავმჯდომარედ, ცვლის მეთოდკაბინეტის გამ-
გეს. ყველაფერთან ერთად, როგორც უკვე აღინიშნა, მას დავალებული
აქვს აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებისადმი ხელმძღვანელობდაც
სწორედ ამიტომაცაა, რომ ამხ. ვ. ნაზარიაშმა, სხვაზე რომ არაფერი
ვთქვათ, არ იცის რამდენი მეორეწლიანი და სკოლიდან განთესილი მოს-
წავლეა რაიონში, რამდენი ბავშვია აყვანილი განსაკუთრებულ კონტ-
როლზე, რამდენია აღრიცხული ბავშვთა ინსპექციების მიერ, რამდენია
ე. წ. ძნელად აღსაზრდელი და ა. შ. მოყვანილი ფაქტი თავისთავად მეტ-
ყველბს, რომ რაიონის სახალხო განათლების ორგანოები მთელი სე-
რიოზულობითა და პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან აღნიშნულ სა-
კითხს. ამიტომაცაა, რომ რაიონში არასრულწლოვანთა შორის დანაშა-
ული არა თუ კლებულობს, არამედ პირიქით.

პედაგოგთა ვარკვეული ნაწილი კვლავ ვერ ახერხებს სწავლების
პროცესში პროგრამული მასალის ათვისების დროს მოსწავლეებს გა-
მოუმუშავოს კომუნისტური მსოფლმხედველობა, დაეხმაროს მათ შე-
ძენილი ცოდნის პრაქტიკულად ათვისებაში, მის რწმენად გადაქცევაში.
ვაკვეთილების მოსმენამ და მათმა ანალიზმა ცხადყო, რომ პედაგოგთა
ნაწილი ვერ ახერხებს სასწავლო პროცესის ისეთნაირად წარმართვას,
რომ უზრუნველყოს დასახული ამოცანის წარმატებით გადაჭრა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოსა და სამართლის
საფუძვლების სწავლება რესპუბლიკის ზოგერთ სკოლაში კვლავ არა-
სასურველ დონეზე დგას. თეთრიწყაროს ობოლ და მშობელთა მზრუნვე-
ლობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის მე-8 კლასში 23 მოს-
წავლეა. საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლებს ასწავლის
ინტერნატის დირექტორი ამხ. დალაქიშვილი. პირველი სემესტრის
შედეგად აღნიშნულ საგანში ვერ ასწრებდა 9 მოსწავლე. სემესტრის
მანძილზე ყველა მათგანი თითოჯერაა არადაამაკმაყოფილებლად შეფა-
სებული. კითხვაზე, რატომ მეტჯერ არ იქნენ გამოძახებული ბავშვები,
მასწავლებლებმა და განათლების განყოფილების მუშაკებმა გვიპასუხეს,
რომ ცარიელ სვეტებში იგულისხმება ორიანები. მოსწავლეებთან საუ-
ბრისას გამოირკვევა, რომ ისინი ვერ ერკვევიან ელემენტარულ საკითხებ-
ში. თუ ბავშვს სკოლაშივე შთაუფნერგავთ კანონისადმი პატივისცემას,
თუ მას ეცოდინება ამა თუ იმ დანაშაულზე მოსალოდნელი სასჯელის
ზომა, მაშინ მისი რეაქცია მერყევე სიტუაციაში კანონთან კონფლიქტს
თავისთავად გამოირიცხავს. ამ რწმენის, ამ შეხედულების ჩამოყალი-
ბება ჩვენი პედაგოგების უპირველესი ამოცანაა.

ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად სამ-
მართველოს მუშაკები დაინტერესდნენ არასრულწლოვან დანაშავეთა

ინტელექტუალური და საერთო კულტურის დონით. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა მოზარდების ინტერესებისა და მისწრაფებების შეზღუდულობამ, გონებრივი განვითარების დაბალმა დონემ. ისინი გაუჭირბიან საზოგადოებრივ საქმიანობას. თავის მხრივ სკოლის პედაგოგთა კოლექტივები და, რაც მთავარია, მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოები ყველაფერს არ აკეთებენ იმისათვის, რომ ასეთი ბავშვები უფრო აქტიურად მიიზიდონ და დასაქმონ მათთვის საინტერესო საქმეებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ასეთი ბავშვი სამედიცინო ჩარევას უფრო საჭიროებს, ვიდრე პედაგოგიურ ზემოქმედებას. სკოლებს, პედაგოგებს რატომღაც უჭირთ დააჯერონ მოზარდები, რომ მათი შვილები ფსიქიატრისა თუ სხვა სპეციალისტის დახმარებას საჭიროებენ. სწორედ აქედან მოდის ის სავალალო შედეგი ასეთ გაუბედობასა და გაჩუმებას რომ მოსდევს.

ყველა რგოლში, ოჯახი იქნება ეს, სკოლა თუ შრომითი კოლექტივი, უნდა ამოიღოს ახალგაზრდის პირადი პასუხისმგებლობა საკუთარი მოქმედებისადმი. საჭიროა მეტი მომთხონელობა მათ მიმართ. ზოგჯერ მოსწავლის მიერ ჩადენილი დანაშაულის თანამონაწილედ ვხვდით ყველას — მშობელსა და მასწავლებელს, თანაკლასელებს, ნაკლები მორალური პასუხისმგებობა კი ეკისრება თვითონ მოზარდს. ზოგჯერ ამა თუ იმ მომხდარ ფაქტზე თანაკლასელებს ბუნდოვანი შეხედულება აქვთ. დამნაშავე გმირადაც კი ყავთ წარმოდგენილი. ამას ისეთ სკოლებში აქვს ადგილი, სადაც არავინ ფიქრობს მომხდარი ფაქტის სწორ პედაგოგიურ ანალიზზე, არ ხეიან მას მოსწავლეთა ფართო მსჯელობის საგნად, არ აძლევენ ბავშვებს მათი სწორი შეფასების საშუალებას.

კვლავ ყველგან არ არის შექმნილი და მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება დისციპლინის განმტკიცების, ნეგატიურ მოვლენათა აღმოფხვრისა და სამართალდარღვევის პროფილაქტიკის საბჭოების საქმიანობა (ქ. გორი, ოჩამჩირე, ქარელი, ხაშური).

კვლავ საოცარ გულგრილობასა და ყოვლად გაუმართლებელ უმოქმედობას იჩენს ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელი ბავშვთა შორის დანაშაულის პროფილაქტიკის, მათი სამართლებრივი სწავლებისა და აღზრდის საკითხებისადმი.

განათლების სამინისტროს კოლეგიამ 15 ოქტომბერს განიხილა საკითხი ქ. თბილისის 152-ე საშუალო სკოლის არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ. აღინიშნა მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებებისა. კოლეგიის გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული სასჯელები დაედოთ სკოლის ხელმძღვანელებს.

არაიბიექტურობა და უსუსურობა გამოიჩინეს ქ. თბილისის მე-4 საშუალო სკოლის ხელმძღვანელებმა და ზოგიერთმა პედაგოგმა ქოსწავლე ნ. ჯაფარიძის მიმართ. საკითხი განიხილა ოქტომბრის რაიონის სახალხო განათლების საბჭომ. საბჭოს გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული სასჯელები დაედოთ სკოლის დირექციის წევრებსა და იმ მას-

წავლებლებს, რომელთა უშუალო მიზნითაც სკოლაში ადგილი ქონდა სერიოზულ დარღვევებს.

ბავშვის განვითარებაზე ზემოქმედების მქონე მრავალ სოციოლოგიურ ფაქტორთა შორის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ოჯახს, და განსაკუთრებულ ატმოსფეროს, ზნეობრივ კლიმატს. ოჯახი აძლევს მას გარემომცველ სამყაროზე პირველ წარმოდგენებს, უმუშავებს შრომით ჩვევებს. ოჯახში შექმნილი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, მშობელთა ურთიერთობა და ოჯახის წევრთა მიმართ დამოკიდებულება უდიდეს აღმზრდელობით ზეგავლენას ახდენს ბავშვზე. მშობლიური სახლი აქტიურ ზემოქმედებას ახდენს მოზარდის მომავალი ოჯახური ცხოვრებისათვის მომზადებაზე.

ესმის რა ოჯახის უდიდესი ამოცანა, მშობელთა უმრავლესობა პასუხისმგებლობით ეკიდება ბავშვების აღზრდაში საკუთარი მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებას. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ვერ ახერხებს მშობელთა შესაძლებლობების გამოყენებას მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი და შრომითი აღზრდის კომპლექსურად გადაწყვეტაში. 1981 წელს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის დაკავებულ არასრულწლოვან მოსწავლეთა აბსოლუტურ უმრავლესობას მოუწესრიგებელი ოჯახური გარემო აქვს. მშობელთა ერთი ნაწილი კი ისეთ კატეგორიას განეკუთვნება, რომ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით ვარკვეულწილად ვალდებულიც კე არის დახმარება გაუწიოს სკოლას სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მართვის საქმეში.

გაგრძეს რაიონის სოფელ ბზიფის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა საპრიკინმა და შილიხინმა დანაშაული ჩაიდინეს. ორივე მოსწავლეს დედები ამავე სკოლის პედაგოგები არიან. აღნიშნულ მოსწავლეებს სკოლაში იცნობენ როგორც დაბალი აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის დამრღვევ მოსწავლეებს. საპრიკინის, როგორც სკოლის შინაგანაწესის დამრღვევისა და უდისციპლინო მოსწავლის საკითხი განიხილა სკოლის ალკა კრებამ 1981 წლის სექტემბერში. იგი ხშირად აცდენდა ვაკვეთილებს. ასევე ხშირად აცდენდა ვაკვეთილებს მოსწავლე შალიხინიც (1 სემესტრში ვააციდინა 135 აკადემიური საათი, მათ შორის 51 საათი არასაპატიოდ). იგი პირადი ქონების ქურდობის მცდელობისათვის დაკავებულ იქნა ჯერ კიდევ 1979 წელს. მიუხედავად ამისა, არც ერთი მათგანი არ იყო აღრიცხვაზე აყვანილი როგორც ე. წ. ძნელად აღსაზრდელი. უფრო მეტიც, გაუგებარი პოზიცია უჭირავთ მათ დედებს, ამავე სკოლის პედაგოგებს, რომლებსაც არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვა ბავშვების სწორი აღზრდა აქვთ მთავრობის მიერ დაკისრებული.

აღსანიშნავია, რომ ბევრ სკოლაში ნაკლებადეფექტურია მშობელთა კომიტეტების საქმიანობა. სუსტად მიმდინარეობს მუშაობა მოსწავლეთა შორის უზედამხედველობისა და სამართალდარღვევათა აღსაკვეთად.

მშობელთა კომიტეტები ვერ ითვალისწინებენ, რომ ამ საქმეში უპირველესი მნიშვნელობა ბავშვებთან და მათ მშობლებთან ინდივიდუალური მუშაობას ენიჭება. ხშირად საოჯახო აღზრდაში ჩნდება მრავალი სიმსივნე. ადგილი აქვს სერიოზულ შეცდომებს, რასაც ხშირად მშობლების პედაგოგიზაციის დაბალი დონე განაპირობებს.

ჯერ კიდევ არ არის დამყარებული საქმიანი კონტაქტები შეფ წარმოება-დაწესებულებებთან, მოსწავლეთა მშობლების სამუშაო ადგილებთან, ხშირად შეფი დაწესებულებები თავიანთ მისიას სკოლებისათვის მატერიალური დახმარებით ამოწურავენ. არავითარ მონაწილეობას არ იღებენ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის წარმართვაში.

განათლების ორგანოების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შეუნელებელი ზრუნვის საგანს ბავშვთა შორის ტრავმატიზმის თავიდან აცილება უნდა წარმოადგენდეს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ადგილი აქვს ცეცხლმსროლელი იარაღის დაუდევრად გამოყენებას ზოგჯერ გამოუსწორებელი შედეგებით. საკითხის შესწავლამ ცხადყო, რომ უბედურ შემთხვევათა მთავარი მიზეზი მშობელთა დაუდევრობა, უპასუხისმგებლობა, ცეცხლმსროლელი იარაღის შენახვისა და მოვალეობის წესების უგულებელყოფაა. კვლავ არადაამაკმაყოფილებელია ამ მიმართებით მშობელთა კომიტეტების, პედაგოგიური კოლექტივების საქმიანობა, შინაგან, საქმეთა ორგანოების დახმარება და მხარდაჭერა. მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტრომ რამდენჯერმე საგანგებოდ მოითხოვა ყურადღების გამძაფრება აღნიშნული საკითხის მიმართ, შედეგები მაინც სავალალოა. ცხოვრება კი უფრო რადიკალური ღონისძიებების გატარების აუცილებლობას მოითხოვს.

1981 წლის დეკემბერში განათლების სამინისტრომ სახალხო განათლების ორგანოებს დაუგზავნა სპეციალური წერილი „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ცალკეულ მასწავლებელთა მიერ პედაგოგიური ეთიკის ნორმების დარღვევის შესახებ“. წერილში აღინიშნა, რომ მიღებული ზომების მიუხედავად რიგი სკოლების ცალკეული მასწავლებლები კვლავ უხეშობენ, შეურაცხყოფას აყენებენ მოსწავლეებს და დამამცირებელი სიტყვებით მიმართავენ მათ, ანგარიშს არ უწყევენ ბავშვისა და მოზარდის თავმოყვარეობას, ხოლო ზოგჯერ ფიზიკურ ხელყოფასაც კი არ ერიდებიან. რა თქმა უნდა, ასეთ მასწავლებლებს დისონანსი შეაქვთ სასკოლო პედაგოგიური კოლექტივების საქმიანობაში, მაგნე ზეგავლენას ახდენენ კოლეგებზე, მოსწავლეებზე.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, სახალხო განათლების ორგანოები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ არასრულწლოვანთა დანაშაულის პროფილაქტიკას, სრულყოფილად არ შეისწავლება დანაშაულის გამომწვე-

ვი მიზეზები, ხელისშემწყობი პირობები, ზოგჯერ ნაჩქარევად და ზე-
რელედ, ყოველგვარი ახალიზის გარეშე განიხილება ამა თუ იმ დანაშაუ-
ლის ფაქტი და ასევე ზერელედ შედგენილი დოკუმენტი ინფორმაცი-
ის სახით რამდენიმე შესხენების შემდეგ იგზავნება განათლების სა-
მინისტროში.

აღნიშნული ინფორმაციები ვერ ქმნიან სრულ სურათს მოსწავლის ქცევი-
ა და აკადემიური მოსწრების თაობაზე დანაშაულის ჩადენამდე, არ ჩანს
ანს რა როლს ასრულებდნენ შვილის აღზრდაში მშობლები, პედ კოლექ-
საზოგადოებრიობა, არ არის გაანალიზებული დანაშაულის გამომწვევი
მიზეზები, ხელისშემწყობი პირობები, გაუგებარია, რა მუშაობა ჩაატა-
რა სკოლამ მშობლებთან, რა ურთიერთკონტაქტებია მშობლების სამუ-
შაო ადგილებთან; უმეტეს შემთხვევაში ფორმალურია სკოლის სამარ-
თალდარღვევათა პროფილაქტიკის საბჭოს საქმიანობა, იშვიათად იხი-
ლება საკითხი სკოლის პედაგოგიურ საბჭოსა და სახალხო განათლების
საბჭოს სხდომებზე. ამასთან, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ
სხდომებზე ყოველთვის საქმიანად არ მსჯელობენ თვით მოსწავლეთა
კოლექტივები. წარმოდგენილ ინფორმაციათა დიდი ნაწილი მთავრდება
ქვე ტრადიციად ქცეული ფრაზით: „შედეგებს გაცნობებით დამატებით“,
ფაქტიურად კი, უმეტეს შემთხვევაში, არავითარი დამატებითი შეტ-
ყობინებები სამმართველოში არ იგზავნება. ეს შენიშვნა მეტნაკლებად
რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონის ეხება, მაგრამ განსაკუთრებულ
საყვედურს იმსახურებენ ლანჩხუთის, გალის, ხობის, ქარელის, სიღნა-
ლის, მახარაძის, ახალციხის, ჩხორიწყუს რაიონების სახალხო განათლე-
ბის ორგანოები.

1982 წლის იანვარში ჩატარდა რესპუბლიკის პარტიული აქტივის
კრება, რომელმაც იმსჯელა საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა
და დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხებზე.
პარტიული აქტივის კრების მოხსენებაში ითქვა: „თუ საგნობრივად და
დაინტერესებით გავარჩევთ კონკრეტულ პრობლემებს, შეგვიძლია მი-
ვალწიოთ გარკვეულ, პირველ ხანებში იქნებ არც თუ ძალიან საგრძნობ,
მაგრამ საიმისოდ საკმარის ძვრებს, რომ უკუვავდოთ მუშაობის ჩვეული,
კონსერვატიული ფორმები და მეთოდები, შევაჩვიოთ ადამიანები ახ-
ლებურად აზროვნებას და მოქმედებას. ამის მაგალითი შეიძლება იყოს
ლონისძიებანი, რომლებიც განხორციელდა ბავშვთა უმეთვალყურეობი-
სა და არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა წინააღმდეგ
ბრძოლის გაძლიერებისათვის.“

ახლა აღარავის არ ეპარება ეჭვი, რომ თუ დაინტერესებულად,
კომპეტენტურად მივუდგებით პრობლემის გადაწყვეტას, ხელს მო-
ვკიდებთ მას სერიოზულად და ყოველდღიურად, მისი ვადპრა საფასებით
შესაძლებელია“.

აქტივის კრებაზე გამოთქმული ეს აზრი სახალხო განათლების

ორგანოების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების პედაგოგიური კოლექტივების საქმიანობის მაღალი შეფასებაცაა. მაგრამ იგი გადიდებულ პასუხისმგებლობას აკისრებს სახალხო განათლების სისტემის თითოეულ მუშაკს, მოითხოვს არსებული შესაძლებლობების და მეთოდების მაქსიმალურად გამოყენებას და სრულყოფას.

ბავშვები — საბჭოთა ხალხის სახელოვანი საქმეების ღირსეული გამგრძელებლები, ჩვენი დიადი სამშობლოს ზეალინდელი პატრონები და მისი სრულყოფილებიანი წევრები არიან. მათი ბედნიერი ცხოვრების საფუძველი — სწორი აღზრდაა.

ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვენი დღევანდელი შრომა, საქმიანობა გვაძლევდეს მომავალი თაობის ყოველ-მხრივი და ჰარმონიული განვითარების ურყევ გარანტიას.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო-საცდელი ნაკვეთის
შ ე ს ა ხ ე ბ**

1. ზოგადი დებულებანი

1. 1. სასწავლო-საცდელი ნაკვეთი ეწყობა დაწყებით, რვაწლიან და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან და სკოლა-ინტერნატებთან.

1. 2. სასწავლო-საცდელი ნაკვეთი განკუთვნილია I-X კლასებში შრომითი სწავლების მეცადინეობების ჩასატარებლად, ასევე ბუნების-მცოდნეობის და ბიოლოგიის გაკვეთილებისათვის, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის, კლასგარეშე ნატურალისტური, საცდელი და ბუნების დაცვის სამუშაოთა ორგანიზებისათვის.

1. 3. სასწავლო-საცდელი ნაკვეთი გამოიყენება სასწავლო კაბინეტების ჩამოსარიგებელი მასალით და სასწავლო-თვალსაჩინო საშუალებებით შესავსებად.

2. სასწავლო-საცდელი ნაკვეთის ტერიტორიის ორგანიზაცია

2. 1. სასწავლო-საცდელი ნაკვეთი წარმოადგენს სკოლის მიწის ნაკვეთის შემადგენელ ნაწილს, რომელსაც გამოუყოფს მას სახალხო დეპუტატთა აღმასრულებელი კომიტეტი. სასწავლო-საცდელი ნაკვეთის ფართობი განისაზღვრება ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, ასევე რეკომენდაციებით, რომლებიც მოცემულია საამშენებლო ნორმებისა და წესების პირველი თავის დანართში და დამტკიცებულია 1973 წლის 4 სექტემბერს სსრკ მინისტრთა საბჭოს საამშენებლო საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ.

2. 2. რვაწლიანი და საშუალო სკოლების სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე ეწყობა: დაწყებითი კლასების, მინდვრის, ბოსტნეულის, ხეხილ-კენკროვანი კულტურების, საკოლექციო, მცენარეთა ბიოლოგიის, დეკორაციული მეყვავილეობის, ზოოლოგია-მეცხოველეობისა და დენდროლოგიური განყოფილებები, აგრეთვე ეწყობა დახურული გრუნტი, მეტეოროლოგიური მოედანი¹, დამხმარე სათავსოები და მოედანი მოსწავლეებთან გაკვეთილების ჩასატარებლად.

თითოეული განყოფილების ფართობი განისაზღვრება ამ განყოფილებაში მომუშავე მოსწავლეთა ასაკისა და რაოდენობის შესაბამისად.

¹ მეტეოროლოგიური მოედანი შეიძლება მოეწყოს გეოგრაფიულ მოედანზე.

2. 3. რვაწლიანი და საშუალო სკოლების დაწყებითი კლასების განყოფილება (დაწყებითი სკოლების სასწავლო-საცდელი ნაკვეთი) დგება დანაყოფებისაგან, რომლებზედაც შრომითი სწავლების რამის შესაბამისად I-III კლასების მოსწავლეები ზრდიან სასოფლო-სამეურნეო კულტურებსა და სხვა მცენარეებს.

2. 4. მინდვრისა და ბოსტნეული კულტურების განყოფილებებში მოჰყავთ თესლობრუნვის სასტიკმაში შემავალი მოცემული ზონის უმთავრესი კულტურები. მინდვრის კულტურის განყოფილებაში შეიძლება შეტანილ იქნას საკვები თესლობრუნვა.

2. 5. ხეხილ-კენკროვან კულტურათა განყოფილება შედგება ნაყოფის მომცემი ხეებისგან და ხეხილ-კენკროვანი სანერგისგან ან დეკორაციული მცენარეებისაგან.

2. 6. საკოლქციო განყოფილებაში მოჰყავთ სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ძირითადი ჯგუფების წარმომადგენლები (მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურები, ტექნიკური კულტურები—ხეთოვანი, ეთერ-ხეთოვანი და სართავი მცენარეები, ბოსტნეული კულტურები, საკვები კულტურები და ა. შ.), ასევე სამკურნალო მცენარეები. ამავე განყოფილებაში შეიძლება გაზარდონ მცენარეები თესლებისა და სარგავი მასალების მიღების მიზნით.

2. 7. მცენარეთა ბიოლოგიის განყოფილებაში შედის დარვინის მოედანი, ასევე ზოგადი ბიოლოგიის, მცენარეთა სისტემატიკის, მცენარეთა მორფოლოგიისა და მცენარეთა ეკოლოგიის ქვეგანყოფილებები.

2. 8. ყვავილოვან-დეკორატიულ განყოფილებაში აშენებენ ერთწლიან, ორწლიან და მრავალწლიან ყვავილოვან მცენარეებს.

2. 9. ზოოლოგია — მეცხოველეობის განყოფილებაში ადგილობრივი პირობების შესაბამისად შენდება საკურდლოე, საფრინველე, საფუტკრე და ა. შ. განყოფილებაში შედის ბუნების ცოცხალი კუთხე.

2. 10. დენდროლოგიურ განყოფილებაში იქმნება მერქნიანი და ბუჩქოვანი მცენარეების კოლექციები.

2. 11. დახურული გრუნტი იქმნება ბოსტნეული და ყვავილოვან-დეკორატიული მცენარეების, ბოსტნეული და ყვავილოვანი კულტურების ჩითილების გამოსაზრდელად. დახურული გრუნტი შედგება სანერგის, კვალსათბურისა და სათბურისაგან.

2. 12. მეტეოროლოგიურ მოედანზე იდგმება მეტეოროლოგიური ჯიხური, ნალექმზომი, ფლიუგერი და აღჭურვილობანი.

2. 13. მოედანი ღია ცის ქვეშ აღიჭურვება ყოველივე იმ აუცილებელი მოწყობილობით, რაც საჭიროა მოსწავლეებთან მეცადინეობის ნორმალურად ჩატარებისათვის (მაგიდებით, სკამებით, საკლასო დაფით და ა. შ.).

2. 14. დამხმარე სათავსოში ინახება ინსტრუმენტები, სასუქები, მოსავალი და ა. შ. აქვე ინახება სააფთიაქო ყუთი პირველი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებითურთ. სააფთიაქო ყუთის გვერდით მა-

გრდება ტაბლო უახლოესი სამკურნალო დაწესებულების მისამართისა და ტელეფონის ნომრის ჩვენებით. დამხმარე სათავსოს მახლობლად იდგმება პირსაბანი ჯაგრისითა და საპნით.

2. 15. სასწავლო-საცდელი ნაკვეთი აღიჭურვება ინსტრუმენტებით, იარაღებით „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის საჭირო სასწავლო-თვალსაჩინო საშუალებებისა და სასწავლო ხელსაწყოების ტიპური ნუსხის“ შესაბამისად. ნუსხა დამტკიცებულია სსრ კავშირის განათლების მინისტრის 1976 წლის 5 ივლისის № 144 ბრძანებით.

2. 16. სასწავლო-საცდელი ნაკვეთის ირგვლივ იქმნება ბუნებრივი (მწვანე ნარგავები) ან ხელოვნური ცოცხალი ღობე, ნაკვეთი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სარწყავი წყლით.

3. სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მოსწავლეთა მუშაობის ორგანიზაცია და შინაარსი

3. 1. ნაკვეთზე მოსწავლეთა მუშაობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო ცდები, ნატურალისტური და ბუნების დაცვის სამუშაოები, რომლებიც ტარდება შრომითი სწავლების, ბუნებისმცოდნეობის, ბიოლოგიისა და საწრეო მუშაობის პროგრამების შესაბამისად. ცდების თემატიკა უნდა პასუხობდეს სასწავლო მიზნებს და იყოს აქტუალური ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოთხოვნილებების თვალსაზრისით.

მოსწავლეები ებმებიან, აგრეთვე, ნაკვეთზე საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის, ცხოველთა მოვლა-პატრონობისა და მცენარეთა ზრდა-განვითარების სამუშაოებში.

3. 2. ნაკვეთზე მოსწავლეთა მუშაობის ორგანიზაციისათვის გამოიყენება ის დრო, რომელიც განკუთვნილია შრომითი სწავლებისათვის; აგრეთვე ბუნებათმცოდნეობისა და ბიოლოგიის გაკვეთილები; ამასთან ერთად, ნაკვეთზე სამუშაოდ მოსწავლეების ჩაბმა ხდება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისა და კლასგარეშე ნატურალისტური, საცდელი და ბუნების დაცვის მუშაობის პროცესში.

საზაფხულო არდადეგების პერიოდში მოსწავლეები ნაკვეთზე მუშაობენ სკოლის დირექტორის მიერ წინასწარ დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით; ამ პერიოდში მოსწავლეთა მუშაობა ნაკვეთზე ერწყმის გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს.

3. 3. ყოველწლიურად, ახალი სასწავლო წლის დასაწყისში ხდება ნაკვეთზე ჩატარებული მუშაობის შეჯამება, ეწყობა გამოფენა, ტარდება „მოსავლის ზემი“.

4. სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მოსწავლეთა მუშაობის ხელმძღვანელობა

4. 1. ნაკვეთზე მუშაობის ორგანიზება ხდება გეგმის შესაბამისად. სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მუშაობის გეგმა წარმოადგენს სკოლის

სასწავლო-აღმზრდელიობითი გეგმის შემადგენელ ნაწილს; ის განიხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და მტკიცდება სკოლის დირექტორის მიერ. სამუშაო გეგმაში მიზანშეწონილია გათვალისწინებულ შემდეგი განყოფილებები:

მოსწავლეთა მუშაობის ორგანიზაცია (განყოფილების განლაგება ფართობის გამოყოფით, ტერიტორიის განაწილება კლასებს, ნორჩ ნატურალისტთა წრეებსა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფებს შორის, ცდების თემატიკის შერჩევა, მოსწავლეთა მიერ აუცილებელი სამუშაოების შესრულების წესის გაცნობა და კალენდარული ვადების დაწესება, საზაფხულო არდადეგების პერიოდში მოსწავლეთა მუშაობის გრაფიკის შედგენა).

მოსწავლეთა მუშაობის ხელმძღვანელობა ნაკვეთზე (შრომის, ბიოლოგიის, დაწყებითი კლასების მასწავლებლების, კლასის ხელმძღვანელების, გახანგრძლივებული დღის ჯგუფის აღმზრდელის განაწილება სასწავლო-საცდელი ნაკვეთის განყოფილებებზე შრომითი მეცადინეობის, ბუნებათმცოდნეობის გაკვეთილების ჩასატარებლად, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისა და საწრეო მუშაობის ორგანიზაციისათვის; კლასის ხელმძღვანელებთან, გახანგრძლივებული დღის ჯგუფების აღმზრდელთან ინსტრუქტაჟის ჩატარება ნაკვეთზე მოსწავლეთა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის ორგანიზაციისა და დაგეგმვის საკითხებზე; მასწავლებლებისა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფების აღმზრდელის მუშაობის გრაფიკის შედგენა საზაფხულო არდადეგების პერიოდისათვის).

ნაკვეთზე მუშაობის მატერიალური ბაზის შექმნა (ინსტრუმენტებით, სასუქებით, სარგავი და სათესი მასალებით უზრუნველყოფა).

4. 2. სკოლის დირექტორი ახორციელებს სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მუშაობის საერთო ხელმძღვანელობას. ორგანიზაციის უკეთეს მასწავლებლების, გახანგრძლივებული დღის ჯგუფების აღმზრდელის განაწილებას მთელი წლის განმავლობაში ნაკვეთზე მოსწავლეთა შრომის პედაგოგიური ხელმძღვანელობის განსაზღვრული ნაკვეთზე; ასევე ნაკვეთის კეთილმოწყობის მიზნით მატერიალური ბაზის განმტკიცებას, საშეფო ორგანიზაციების დახმარებასა და მშობლების მიზიდვას.

4. 3. ნაკვეთზე უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებს სასწავლო-საცდელი ნაკვეთის გამგე, რომელსაც ნიშნავს სკოლის დირექტორი, როგორც წესი, ბიოლოგიის მასწავლებლებიდან (შეიძლება დანიშნოს აგრეთვე, ისეთი მუშაკიც, რომელიც კარგად იცნობს ბიოლოგიის სასკოლო კურსს და პროგრამული მასალის მიხედვით შეუძლია ნაკვეთზე შექმნას მუშაობის ნორმალური პირობები). სასწავლო-საცდელი ნაკვეთის გამგე ადგენს ნაკვეთზე მუშაობის გეგმას, ახდენს მოსწავლეთა მუშაობის ორგანიზებას (ზაფხულის დროის ჩათვლით), პასუხს აგებს ნაკვეთის მიზნობრივ გამოყენებაზე, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, შრომის დაცვის წესების, უსაფრთხოების ტექნიკისა და

სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვაზე. იღებს ზომებს სათესი და სარგავი მასალით, საკვებით აუცილებელი ინსტრუმენტებითა და აღჭურვილობით ნაკვეთის მოსამარაგებლად.

მასწავლებლებს სასწავლო-საცდელი ნაკვეთის გამგეობისათვის ეძლევათ დამატებითი ანაზღაურება „განათლების მუშაკთა ხელფასის გამოთვლის წესის ინსტრუქციის“ შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია სსრკ განათლების მინისტრის 1977 წლის 5 იანვრის № 2 ბრძანებით.

4. 4. ნაკვეთის გამგე პასუხს აგებს იმ მატერიალური ფასეულობის დაცვაზე, რომელიც აუცილებელია ნაკვეთზე საორგანიზაციო სამუშაოების ჩასატარებლად; ის განაგებს იმ ფასეულობის აღრიცხვას, რომელიც გათვალისწინებულია სასკოლო დოკუმენტაციის ნორმების ინსტრუქციის IV განყოფილებით და დამტკიცებულია სსრკ კავშირის განათლების მინისტრის 1974 წლის 27 დეკემბრის № 167 ბრძანებით.

4. 5. დაწყებით სკოლებში სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მუშაობა ხორციელდება სკოლის გამგის უშუალო ხელმძღვანელობით.

4. 6. შრომითი სწავლების, ბუნებათმცოდნეობის და ბიოლოგიის პროგრამით გათვალისწინებული მეცადინეობები და გაკვეთილები ტარდება დაწყებითი კლასების, სასოფლო-სამეურნეო შრომისა და ბიოლოგიის მასწავლებლების მიერ. მასწავლებლები, რომლებიც ხელმძღვანელობენ მოსწავლეთა-მუშაობას სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე, ასწავლიან მათ ნაკვეთზე მუშაობის სწორ და უსაფრთხოების წესებს, უზრუნველყონ მოსწავლეთა მიერ შრომის უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის წესების დაცვა, ასევე ანხორციელებენ ზედამხედველობას სამუშაო იარაღებისა და ინსტრუმენტების სწორ ექსპლუატაციაზე.

4. 7. დირექტორის თანაშემწე სამეურნეო დარგში პასუხისმგებელია სასწავლო-საცდელი ნაკვეთის ინსტრუმენტებით, სათესი და სარგავი მასალით, ცხოველების საკვებით, სასუქებით, მცენარეების საჩუყავი წყლით დროულად უზრუნველყოფისა და სასწავლო-საცდელი ნაკვეთიდან მიღებული პროდუქციის რეალიზაციაზე; ის ორგანიზაციას უკეთებს სასწავლო-საცდელი ნაკვეთის დაცვის საქმესაც.

5. სასწავლო-საცდელი ნაკვეთის პროდუქციის

აღრიცხვა და რეალიზაცია

5. 1. სასწავლო-საცდელი ნაკვეთის სიდიდისა და ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მუშაობა შეიძლება დაიგეგმოს ბიუჯეტგარეშე (სპეციალური) ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

5. 2. სასწავლო-საცდელი ნაკვეთის პროდუქციის რეალიზაციით მიღებული სახსრები გამოიყენება ნაკვეთზე მუშაობისათვის საჭირო მოწყობილობისა და ინვენტარის შესაძენად, დამხმარე ნაგებობის ასა-

შენებლად კაპიტალურ დაბანდებათა ფინანსირების გეგმების ^{შევით} სპეციალური სახსრებით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში, ნაკვეთზე ნაყოფიერი მუშაობის ჩატარებისათვის მოსწავლეთა ^{დასასა} ჩილდოვებლად, აგრეთვე მოსწავლეების ცხელი კვებით უზრუნველყოფისათვის, პირველ რიგში სასკოლო ინტერნატებში მცხოვრებ მოსწავლეთა უზრუნველსაყოფად და ხელმოკლე მოსწავლეთა დასახმარებლად.

5. 3. სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მიღებული პროდუქციის დანახარჯების და შემოსავლის აღრიცხვა წარმოებს დადგენილი წესის მიხედვით. აქტებს სათესი ფართობის ზომის, სარგავი და მეცხოველეობის პროდუქციის რაოდენობის შესახებ ადგენს კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან სასწავლო-საცდელი ნაკვეთის გამგე; დირექტორის მოადგილე (თანაშემწე) სამეურნეო დარგში, მშობელთა კომიტეტის, ადგილკომისა და მოსწავლეთა კომიტეტის წარმომადგენლები.

5. 4. სკოლა თავისუფლდება სასწავლო-საცდელი ნაკვეთიდან მიღებული პროდუქციის სახელმწიფოსათვის სავალდებულო ჩაბარებისა და პროდუქტების რეალიზაციის ბრუნვის გადასახადისაგან.

სკოლების სამმართველო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა
და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო
დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური
კომიტეტის პრეზიდიუმის 1982 წლის 22 აპრილის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. ქუთაისის სკოლებში მასწავლებელთა ატესტაციის მეორე
ციკლის მიმდინარეობის შესახებ

სამინისტროს კოლეგია და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ ქუთაისის საქალაქო და რაიონული განათლების განყოფილებები, სკოლის დირექციები და პროფკავშირის კომიტეტები სერიოზულ მუშაობას ატარებენ მასწავლებელთა ატესტაციის მეორე ციკლის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

სკოლის დირექტორების, პარტორგანიზაციის მდივნებისა და ადგილკომის თავმჯდომარეთა თათბირებზე განხილულ იქნა დებულება მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარების წესის შესახებ, გაეცნოთ ზემდგომი ორგანოებიდან მიღებული სახელმძღვანელო დოკუმენტები. შედგენილ იქნა ატესტაციის ორგანიზებულად ჩატარებისათვის საჭირო გეგმები.

ქალაქის ორივე რაიონის განათლების განყოფილებაში დროულად შეიქმნა საატესტაციო მუშა ჯგუფები პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით. მუშა ჯგუფების მუშაობაზე საქმიან დახმარებასა და კონტროლს ახორციელებს ქალაქის განათლების განყოფილება.

დადგენილი წესის მიხედვით მასწავლებელთა ატესტაციამდე ტარდება მათი საინსპექტორო შემოწმება, რაშიც, განათლების განყოფილებების მუშაკებთან ერთად, აქტიურ მონაწილეობას იღებენ მოწინავე პედაგოგები. ატესტაცია მიმდინარეობს მასწავლებელთა კადრებისადმი გაზრდილი მოთხოვნების, ყურადღებიანი დამოკიდებულებისა და ფართო საჯაროობის პირობებში. სისტემატურად ტარდება პედაგოგიური კიბხეები, ღია გაკვეთილები, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოწინავე მასწავლებელთა გამოცდების განზოგადებას, საჭიროების მიხედვით კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე მასწავლებელთა გაგზავნას და ა. შ. სკოლებში მოწყობილია საატესტაციო კუთხეები, მოწესრიგებულია მასწავლებელთა პირადი საქმეები.

ატესტაცია გახდა მასწავლებელთა კადრების იდეურ-თეორიული დონისა და მეთოდური დახელოვნების მნიშვნელოვანი სტიმული. ქალაქის ყველა სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივებმა ერთსულოვნად იაუჭირეს მხარი ქ. მოსკოვის სკოლების კოლექტივების წამოწყებას: „ყოველ მასწავლებელს — უმაღლესი პოლიტიკური განათლება“ და აქტიურად იღვწიან მისი განხორციელებისათვის.

ატესტაცია ხელს უწყობს შინასასკოლო ხელშეწყობას და კონტროლის გაუმჯობესებას, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის ამაღლებას, ბევრმა მასწავლებელმა დაიწყო სწავლების უფრო ეფექტური მეთოდებით სარგებლობა. მკვეთრად გაიზარდა გაკვეთილებზე სასწავლო-თვალსაჩინოებებისა და სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენება.

ქალაქისა და რაიონების განათლების განყოფილებები სამუშაო გეგმების მიხედვით პერიოდულად ამოწმებენ და განათლების საბჭოების სხდომებზე იხილვენ მასწავლებელთა ატესტაციის მეორე ციკლის მიმდინარეობასა და ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა შემთხვევაში ლეზულობენ საჭირო ზომებს. როგორც ლენინის, ასევე ავტოქარხნის რაიონების განათლების განყოფილებათა საბჭოს სხდომებზე მიმდინარე წლის თებერვლის თვეში მოსმენილი და განხილულია საკითხი მასწავლებელთა ატესტაციის მეორე ციკლის მიმდინარეობის შესახებ. გარდა ამისა, ლენინის რაიონის განათლების განყოფილებაში ყოველ ორშაბათს ოპერატიულ თათბირზე ისმენენ სკოლებზე მიმაგრებული ამხანაგებისა და სკოლის დირექტორთა ინფორმაციებს ატესტაციის მიმდინარეობის შესახებ.

ორივე რაიონში მასწავლებელთა საატესტაციო დახასიათებები არსებული წესების შესაბამისად განხილულ და დამტკიცებულ იქნა სკოლების პროფკავშირის ადგილკომების სხდომებზე და შემდეგ ისინი საჯაროდ გაეცნოთ მასწავლებლებს პედაგოგიური საბჭოს სხდომებსა და საწარმოო თათბირებზე.

პროფკავშირის ადგილკომებს ატესტაციის მეორე ციკლის ჩატარების პერიოდში გააქტიურებული აქვთ თავიანთი მუშაობა, ისინი უფრო პრინციპულად და ობიექტურად უდგებიან საატესტაციო დახასიათებების შედგენისა და განხილვის საქმეს. განათლების განყოფილებების მეთოდური კაბინეტებისა და ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის სამუშაო გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი მასწავლებელთა ატესტაციის საკითხებს: მოწინავე მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილების განზოგადებას, რეკომენდაციამიცემულ მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილების განზოგადებას, რეკომენდაციამიცემულ მასწავლებელთა შორის მუშაობას, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ზრუნვას და სხვა.

მასწავლებელთა ატესტაცია განსაკუთრებით კარგად ჩატარდა ქ. ქუთაისის მე-14, 30-ე, 24-ე, 32-ე (დირექტორები ე. შალამბერიძე ლ. ლეკიძე, მ. სეფიაშვილი, ა. გვაზავა) და რიგ სხვა სკოლებში.

მიუხედავად ჩატარებული მუშაობისა, ქ. ქუთაისის სკოლებში მასწავლებელთა ატესტაციის მეორე ციკლის მიმდინარეობის საქმეში არის ზოგიერთი ნაკლოვანებებიც.

ქალაქის სკოლების დირექციების ერთი ნაწილი ატესტაციას ვერ

იყენებს მასწავლებელთა პასუხისმგებლობის ამოღების ქმედით საშუალებად, რის გამოც ზოგჯერ ფორმალურად, ლიბერალურად ხდება საატესტაციო დახასიათებების შედგენა. მასწავლებლებს ეძლევათ შეფასების ფორმა „შეეფერება დაკავებულ თანამდებობას“, მაშინ როცა ისინი ასეთ შეფასებას არ იმსახურებენ, ითვლებიან სუსტ მასწავლებლებად და რატომღაც თავისუფლდებიან რეკომენდაციების მიცემისაგან.

ქუთაისის ლენინის რაიონის სკოლებში მომუშავე 978 მასწავლებლიდან მიმდინარე წელს ატესტაციას გადის 361, აქედან მხოლოდ 10 მასწავლებელი იყო სკოლებიდან წარმოდგენილი დასკვნით „შეეფერება დაკავებულ თანამდებობას რეკომენდაციის პირობით“, მაგრამ განათლების განყოფილების საატესტაციო მუშა ჯგუფმა, გაითვალისწინა რა სასკოლო ინსპექტორებისა და მეთოდისტების შემოწმების მასალები, ნაცვლად 10 მასწავლებლისა რეკომენდაცია მისცა 27 მასწავლებელს. ასე მაგალითად 33-ე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თ. კერძაია შეფასებული იყო არაობიექტურად „შეეფერება დაკავებულ თანამდებობას“, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და რაიონის განათლების განყოფილების მონაკვლევ მასალებში აღნიშნული იყო მისი სუსტი მუშაობა. ამის შედეგად მუშა ჯგუფმა შეცვალა სკოლის წინადადება და თ. კერძაიას მისცა რეკომენდაცია „აიმაღლოს საგნის მეცნიერული ცოდნის დონე“, მასვე ჩამოერთვა VIII-IX-X კლასები. ასევე ლიბერალურად იქნა წარმოდგენილი საატესტაციო დახასიათებები სუსტ მასწავლებლებზე გ. შვანგირაძესა და თ. ფიჩხაძეზე (მე-19 საშუალო სკოლა), რის გამოც საატესტაციო ჯგუფმა სამართლიანად შეცვალა მათზე წარმოდგენილი დასკვნა და მისცა შეფასება „შეეფერება დაკავებულ თანამდებობას რეკომენდაციის პირობით“.

საატესტაციო დახასიათებების ლიბერალურად მიცემის შემთხვევებს ადგილი აქვს, აგრეთვე, ავტოქარხნის რაიონშიც, სადაც წინასწარი მონაცემებით მიმდინარე წელს 340 ატესტაციაგასავლელი მასწავლებლიდან რეკომენდაცია გათვალისწინებულა მხოლოდ 15 მასწავლებელზე, რაც ძალზე მცირეა.

სახალხო განათლების განყოფილებები და ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელები ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მოწინავე მასწავლებლების გამოვლენას, მათი მუშაობის ობიექტურად შეფასებას და წასახალისებლად წარდგენას, რის გამოც არ სრულდება სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1981 წლის 30 ივლისის სახელმძღვანელო მითითება „ატესტაციის შედეგების მიხედვით“ მასწავლებელ-მეთოდისტის“ და „უფროსი მასწავლებლის“ წოდებათა მისანიჭებელ მასწავლებელთა რაოდენობის გაზრდის შესახებ“.

ქუთაისის ლენინის რაიონის განათლების განყოფილებაში დაცული არ არის მუშა ჯგუფის სხდომების ოქმების დროულად გაფორმების წესი. მიმდინარე წლის 11 აპრილს სათანადოდ გაფორმებული არ იყო 23, 25 და

26 მარტს ჩატარებული საატესტაციო მუშა ჯგუფის სხდომების ოქმები.

განათლების სამინისტროს კოლეგიამ და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა გადაწყვიტეს:

1. აღინიშნოს ქ. ქუთაისის საქალაქო, ლენინისა და ავტოქარხნის რაიონების განათლების განყოფილებათა და პროფკავშირის საქალაქო და ადგილობრივი კომიტეტების დადებითი მუშაობა მასწავლებელთა ატესტაციის მეორე ციკლის მომზადებისა და ჩატარების საქმეში.

2. ქ. ქუთაისის საქალაქო, ლენინისა და ავტოქარხნის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა (გამგეები ამხ. ამხ. ვ. ყავლაშვილი, ლ. გეგუჩაძე, გ. ფრუიძე), პროფკავშირის საქალაქო კომიტეტმა (თავმჯდომარე ამხ. ა. სანოძე):

2. 1. განუხრელად დაიცვან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარების წესის შესახებ დებულებით და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები, კიდევ უფრო გააუმჯობესონ სკოლის დირექტორებისა და პროფკავშირის ადგილკომების თავმჯდომარეთა პასუხისმგებლობა მასწავლებელთა საატესტაციო დახასიათებების და დასკვნების ობიექტურად შედგენისადმი.

2. 2. მასწავლებელთა საატესტაციო შეფასების განსაზღვრისას არ დაუშვან ფორმალური მიდგომის ფაქტები, განათლების, მეცნიერულ-თეორიული ღონის და კვალიფიკაციის ამოღების მიზნით დაუსწრებელ სწავლებასა და მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე ჩაბმის შესახებ რეკომენდაცია-წინადადებების მიცემისას მხედველობაში მიიღონ მასწავლებელთა მუშაობის ხარისხი, ასაკი, ოჯახური და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

2. 3. განხორციელონ ღონისძიებები მასწავლებელთა ატესტაციის სრულყოფილად ჩატარებისათვის. ატესტაციის მეორე ციკლის მთავარ ამოცანად მიიჩნიონ მისი ქმედითობის გაძლიერება, მასწავლებელთა კვალიფიკაციის, პედაგოგიური დახელოვნების და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანობის ამაღლება, როგორც სკკპ და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი საშუალება.

2. 4. გააუმჯობესონ მასწავლებელთა ატესტაციისადმი შინასაკოლო ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი. მასწავლებელთა ატესტაციის სრულყოფილად ჩატარების საქმეში განყოფილებების თანამშრომლებთან ერთად აქტიურად ჩააბან მოწინავე პედაგოგები.

2. 5. განათლების საბჭოებისა და პროფკავშირის კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე განიხილონ მასწავლებელთა ატესტაციის მიმდინარეობა, მისი შედეგები და ამ საქმეში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახონ საჭირო ღონისძიებანი.

2. 6. მიღწიონ, რათა ატესტაციის მზადებისა და ჩატარებას პერიოდში ყოველი მასწავლებლის ყურადღება მიმართულ იქნას თავისი კვალიფიკაციის, პედაგოგიური დახელოვნებისა და შემოქმედებითი აქტივობის შემდგომ ამოღებაზე, ფართოდ განაზოგადონ და გაავრცელონ მოწინავე პედაგოგთა გამოცდილება.

2. 7. საჭირო დახმარება და კონტროლი გაუწიონ რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამოღების, მათი პედაგოგიური დახელოვნებისა და, საერთოდ, მათთან მუშაობის საქმეში.

2. 8. სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მითითებათა შესაბამისად გამოავლინონ მოწინავე მასწავლებლები და დამსახურების მიხედვით უფრო გაბედულად წარადგინონ „მასწავლებელ-მეთოდისტის“, „უფროსი მასწავლებლის“ წოდებათა მისანიჭებლად, ან სხვა სახის ჯილდოებით წასახალისებლად.

3. კადრების ატესტაციის რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. დ. ყურულაშვილი) სისტემატური მეთოდური დახმარება გაუწიოს განათლების განყოფილებებს და სკოლებს მასწავლებელთა ატესტაციის სრულყოფილად ჩატარებისათვის.

4. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ (ამხ. ნ. შველიძე) პერიოდულად გააშუქოს მასალები მასწავლებელთა ატესტაციის მზადებისა და მიმდინარეობის შესახებ და განაზოგადოს ამ საქმეში დაგროვებული დადებითი გამოცდილება.


5. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს კადრების სამმართველოს (ამხ. ა. ვაჩნაძე) და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო მუშაობისა და ხელფასის განყოფილებას (ამხ. ა. ჟორჟოლაძე).

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი

ო. ქინქლაძე

განათლების, უმაღლესი სკოლისა
და სამეცნიერო დაწესებულებების
მუშაკთა პროფკავშირის რესპუბ-
ლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
დ. იოსელიანი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის
1982 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება



1981—1982 სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისა და 1982—
1983 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების ღონისძიებათა
შეხება

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში 1981—1982 სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისა და 1982—1983 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების უზრუნველყოფის მიზნით კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს 1981—1982 სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისა და 1982—1983 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების ღონისძიებათა გეგმა (თან ერთვის).

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებმა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ დსეუთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უზრუნველყონ აღნიშნული გეგმის დაქვემდებარებულ დაწესებულებებამდე დაყვანა. მიიღონ ზომები ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

3. კონტროლი აღნიშნული გეგმის შესრულებაზე დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. ქ. სუჯაშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი. ო. ქინქლაძე

1981—1982 სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისა და ახალი

1982—1983 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების

გ ე გ მ ა

№	შესასრულებელი საკითხები	შესრულების ვადა	პასუხისმგებელი შესრულებაზე
1	2	3	4
<p>1. 1981—1982 სასწავლო წლის დამთავრების ორგანიზება</p>			
1.	„საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა გამოცდების, გადაყენისა და გამოშვების შესახებ“ ინსტრუქციის მომზადება, დამტკიცება და ადგილებზე დაყენა.	აპრილი	სკოლების სამმართველო
2.	III-X (XI) კლასების საგამოცდო ბილეთების მომზადება ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, მათი გამოცემა და ადგილებზე დაგზავნა.	აპრილი	სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოების სამმართველო
3.	რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დამამთავრებელი და გამოსაშვები გამოცდებისათვის მზადების მიმდინარეობის შემოწმება.	აპრილი მაისი	სკოლების სამმართველო, მეთოდცენტრი
4.	წერიტი გამოცდებისათვის საწერი ქალაღლით სკოლების უზრუნველყოფა.	აპრილი მაისი	სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოების სამმართველო
5.	საგამოცდო თემატიკის შედგენა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, ამოცანებისა და მაგალითების ვარიანტების შერჩევა მათემატიკაში, საგამოცდო დავალებების რადიოთი და ტელევიზიით გადაცემის ორგანიზება.	აპრილი მაისი	სკოლების სამმართველო, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის დახმარებით



1	2	3	4
6.	საშუალო განათლების ატესტატებისა და რვა კლასის დამთავრების მოწმობების დაკეთა და შემოზიდვა; ქების სიგელების, ქების ფურცლების, საგამოცდო ოქმების, ავტომძღოლის, ტრაქტორის მართვისა და მანქანაზე ტექნიკის მოწმობების დაბეჭდვა და გაცემა მოთხოვნის მიხედვით.	აბრილი სექტემბერი	სკოლების სამმართველო, მომარაგების მთავრობის სამმართველო
7.	ოქროს მედალოსნობის კანდიდატა წერიითი ნამუშევრების გადამმოწმენელი კომისიების შექმნა და მათი მუშაობის ორგანიზება.	ივნისი	სკოლების სამმართველო
8.	კონტროლის დაწესება გამოცდების მიმდინარეობაზე, რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში სემინისტროს წარმომადგენლების მივლინება.	ივნისი	— „ —
9.	გამოცდების შედეგების შეჯამება.	სექტემბერი	— „ —
10.	სასწავლო წლის დამთავრებისადმი მიძღვნილი სპეციალური ტელე და რადიოგადაცემების ორგანიზება, სტატიების გამოქვეყნება რესპუბლიკურ პრესაში.	მაისი ივნისი	აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ტელევიზიონისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტთან და რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებთან ერთად
11.	შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, შრომისა და ომის ვეტერანებთან, პარტიული და საბჭოთა აქტივის წარმომადგენლებთან.	მაისი	აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად
12.	„უქანასკნელი ზარის“, სკოლაში გამოსაშვები ხალამობის, დილების ჩატარება შეფი ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიონის ეონაწილეობით.	მაისი ივნისი	სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად

1	2	3	4
13.	<p>ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულებზე ოქროს მედლების სახელით ვითარებაში გადაცემა.</p> <p>II. მზადება ახალი სასწავლო წლისათვის დევიზით „ღირსეულად შევხვდეთ საქართველოს მასწავლებელთა მე-5 ყრილობას და სსრკ შექმნის მე-60 წლისთავს“</p>	იენისი	<p>აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო</p>
1.	<p>1982 წლის გეგმით გათვალისწინებული სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის მიმდინარეობის შემოწმება და მათი დროულად ჩაბარების უზრუნველყოფა.</p>	10 აგვისტომდე	<p>სკოლების სამმართველო, კაპიტალური მშენებლობის განყოფილება, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სასაღო განათლების განყოფილებები, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველო</p>
2.	<p>რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტზე მყოფი სახალხო განათლების ობიექტების კაპიტალური და მიმდინარე რემონტების მიმდინარეობის შემოწმება, მათი დროული დამთავრება.</p>	—	—
3.	<p>მშენებარე ობიექტების უზრუნველყოფა საჭირო სახისა და რაოდენობის რბილი და მაგარი ინვენტარით, ავეჯით, სასწავლო მოწყობილობით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით.</p>	—	—
4.	<p>საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 21 ოქტომბრის № 896 დადგენილების შესაბამისად გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახის საბავშვო სახლის მშენებლობის დამთავრების უზრუნველყოფა.</p>	20 აგვისტომდე	<p>სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, კაპიტალური მშენებლობის სამმართველო</p>

1	2	3	4
			<p>ნებლობის განყოფილება, სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანიზებთან ერთად</p>
5.	<p>რესპუბლიკის ინტერნატული ტიპის დაწესებულებათა უზრუნველყოფა მიმდინარე და კაპიტალური რემონტებით, რბილი და მაგარი ინვენტარით, ტანსაცმლით, სასწავლო-დიდაქტიკური და ტექნიკური საშუალებებით.</p>	<p>1-ლი სექტემბერი</p>	<p>სკოლა-ინტერნატებისა და მომარაგების მთავარი სამმართველოები, კაპიტალური მშენებლობის განყოფილება</p>
6.	<p>ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებების დამხმარე მეურნეობების ქსელის გაფართოებისა და რენტაბელობის უზრუნველყოფა.</p>	<p>1-ლ სექტემბერამდე</p>	<p>სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო</p>
7.	<p>სასკოლო-სასადილოებისა და ბუფეტების 1982—1983 სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის შემოწმება, შედეგების შეჯამება.</p>	<p>ივნისი აგვისტო</p>	<p>სკოლების სამმართველო</p>
8.	<p>გახანგრძლივებული დღის სკოლების, ჯგუფებისა და სასკოლო ინტერნატების ქსელის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობების და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის ღონისძიებების გატარება.</p>	<p>1-ლი სექტემბერი</p>	<p>სკოლების სამმართველო, ქალაქების (რაიონების) განათლების განყოფილებები</p>
9.	<p>3 და მეტ კილომეტრზე სკოლიდან დაშორებით მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით უფასოდ გადაყვანის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარება.</p>	<p>10 სექტემბერამდე</p>	<p>რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებები ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზებთან ერთად</p>
10.	<p>ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სასწავლო წლის დასაწყისისათვის მზადყოფნის მიზნით სასკოლო ბაზრობების ორგანიზება.</p>	<p>10 სექტემბერამდე</p>	<p>რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებები, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველო</p>

1	2	3	4
11.	<p>რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების და ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებების უზრუნველყოფა სრულყოფილი სასწავლო პროგრამებით, სახელმძღვანელობით, მეთოდური ლიტერატურით, თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალებით, სწავლების ტექნიკური საშუალებებითა და სათანადო დოკუმენტაციით.</p>	25 ავვისტომდე	<p>სკოლების სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, სახელმძღვანელობის სამმართველო, მომარაგების მთავარი სამმართველო</p>
	<p>დაწყებითი კლასების 5-დღიან სასწავლო კვირაზე ცდის წესით გადასვლასთან დაკავშირებით ექსპერიმენტული 1-ლი კლასებისათვის სასწავლო გეგმების, პროგრამების, სახელმძღვანელოების, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურის მომზადება, სკოლებამდე დაყვანა.</p>	ივნისი ავვისტო	<p>სკოლების სამმართველო</p>
	<p>სკოლამდელი დაწესებულებების მომარაგება მეთოდური ლიტერატურითა და რეკომენდაციებით.</p>	20 ავვისტომდე	<p>სკოლამდელი აღზრდის სამმართველო</p>
12.	<p>ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებების მზადების მიმდინარეობისა და მზადყოფნის შემოწმება.</p>	ივნისი ავვისტო	<p>სკოლების სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო</p>
13.	<p>სასკოლო სასაიდლოენის და ბუფეტების უზრუნველყოფა საჭირო ტექნოლოგიური დანადგარებით დაკვირვების ხარისხიანი პროდუქტებით, სააბონემენტო სისტემის ფართოდ დანერგვა.</p>	1-ლ სექტემბრამდე	<p>მომარაგების მთავარი სამმართველო, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებები საზოგადოებრივი კვების ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად</p>
14.	<p>სასკოლო ასაკის ბავშვთა და საშუალო განათლების არმქონე მომუშავე ახალგაზრდების აღრიცხვა და მათი სწავლებაში ჩაბმის უზრუნველყოფა.</p>	მაისი ავვისტო	<p>სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები, სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო</p>

1	2	3	4
15.	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების დირექტორების ზონალური თათბირის ჩატარება მიმდინარე სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებისა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ.	აპრილი	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლებში სწავლებელთა
16.	ერთობლივი ბრძანების მიღება ვაკრობისა და ხილ-ბოსტნეულის სამინისტროების სისტემაში მომუშავე ახალგაზრდობის სწავლების შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე.	მაისი	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო
17.	რესპუბლიკის რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში პროფტექნიკური განათლების ჯგუფების გახსნა.	1-ლ სექტემბერამდე	სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო
18.	1982—1983 სასწავლო წლისათვის უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლებიდან რესპუბლიკის სკოლებში ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოდ განაწილება.	მარტი	კადრების სამმართველო
19.	იმ სასწავლებელთა, აღმზრდელთა სიების დაზუსტება, რომლებსაც არ გააჩნიათ უმაღლესი განათლება და უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების სალამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე მათი სწავლებაში ჩაბმის ორგანიზება.	ივნისი მარტი ივნისი	კადრების სამმართველო
20.	კონკურსგარეშე და მოსამზადებელ განყოფილებაზე ჩასარიცხად სპეციალობების მიხედვით განსაზღვრული რაოდენობის შესაბამისად კანდიდატურების შერჩევისა და პედაგოგიურ ინსტიტუტებში მათი მივლინების ორგანიზაცია.	ივნისი ივლისი	კადრების სამმართველო
21.	მოკავშირე რესპუბლიკების გარეთ პედაგოგიურ ინსტიტუტებში კოოპერირების წესით მასწავლებელთა კადრების მომზადების ორგანიზება. მიზნობრივი კონტინგენტის განსაზღვრა, კანდიდატურების შერჩევა-მოვლინება.	ივნისი ივლისი	კადრების სამმართველო
22.	ბათუმის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ბაზაზე ბერძნული ენის მასწავლებელთა გადამზადება.	ივნისი	კადრების სამმართველო
23.	სოფლის მასწავლებელთა, მათ შორის ახალგაზრდა სპეციალისტთა, შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების მდგომარეობის შესწავლა.	ივლისი	კადრების სამმართველო

- 24. სპორტული სკოლების სასწავლო-საწვრთნელი ჯგუფების განხილვა-დამტკიცება.
- 25. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატებისათვის სპორტული ღონისძიებების კალენდარული გეგმის შედგენა და ადგილებზე დაგზავნა.
- 26. შრომის ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, მე-11 ხუთწლი-ლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ორგანოებსა და დაწესებულებებში სოციალისტური შე-ჯიბრებით აღებულ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შემოწმება რესპუბლიკის რიგ რაიონებსა და ქალაქებში.
- 27. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველ-ყოფის შემოწმება რიგ რაიონებსა და ქალაქებში.

III. მასწავლებელთა აგვისტოს თათბირების მომზადება და ჩატარება

- 1. დღის წესრიგისა და ძირითადი მომხსენებლების განსაზღვრა, სახალხო განათლების ორგანოებამდე მათი დაყვანა.
- 2. აგვისტოს თათბირებზე წასაკითხი სამინისტროს მოხსენების მომზადება.
- 3. ცალკეულ რაიონებზე მოკლე მოხსენებების შედგენა „სახალხო განათლების მდგო-მარეობის შესახებ“.
- 4. თათბირების ჩატარებისა და სექციური მუშაობისათვის რეკომენდაციების, მეთო-დური მითითებების მომზადება, დაბეჭდვა, ადგილებზე დაყვანა.
- 5. აგვისტოს თათბირებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების, წინადადებე-ბის ანალიზი, მათი რეალიზაციის ღონისძიებათა დასახვა და შედეგე-ბის შეჯამება.

20
აგვისტომდე
— „ —

ივლისი

სექტემბერი

20-30
აგვისტო
აგვისტო

ივლისი
ივლისი

20
აგვისტო
სექტემბერი
ოქტომბერი

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველო, სკოლა-ინტერნატების ფი-იკური აღზრდისა და სპორ-ტის სამმართველოები

სკოლების სამმართველო, სა-სამინისტროს სამმართველო-განყოფილებები, სოცმეჯი-ბრის საორგანიზაციო რეს-პუბლიკური კომისია სახელმძღვანელოების სამ-მართველო

სკოლების სამმართველო

სკოლების სამმართველო

სკოლების სამმართველო

სკოლების სამმართველო

სკოლების სამმართველო

სამინისტროს სამმართვე-ლო-განყოფილებები

1	2	3	4
1.	<p>IV. სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყება</p> <p>სასწავლო-აღმზრდელითი დაწესებულებების შენობების, ეზო-კარმიდამოს, დერეფნებისა და საკლასო ოთახების საზეიმო გაფორმება.</p>	აგვისტო	<p>ეროვნული ბიბლიოთეკა</p> <p>რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებები ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად</p>
2.	რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების კინოთეატრებში საბავშვო და ახალგაზრდული კინოფილმების ჩვენების ორგანიზაცია.	აგვისტო სექტემბერი	აღკკ საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან, კულტურის განყოფილებებთან ერთად
3.	„პირველი ზარის“ ზეიმებისა და მიტინგების ჩატარება სკოლაში, შეფი ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივებისა და მშობელთა	აგვისტო სექტემბერი	სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები
4.	გაერთიანებული კრებების ჩატარება თემაზე: „მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის ერთობლივი საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.	სექტემბერი	განათლების ადგილობრივი ორგანოები, კომკავშირის რაიონული და საქალაქო კომიტეტები, პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციების, ადმინისტრაციული ორგანოების, სამრეწველო საწარმოების, კულტურისა და სპორტის დაწესებულებების წარმომადგენელთა მონაწილეობით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1	2	3	4
<p>5. 1982—1983 სასწავლო წლის დაწყების საზეიმოდ აღნიშვნის მიზნით ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში კვირეულის „გამარჯობა, სკოლავ“ ჩატარება.</p> <p>V. ახალი სასწავლო წლის დაწყების შედეგების შეჯამება</p>		<p>1-10 სექტემბერი</p> <p>სექტემბერი ოქტომბერი</p>	<p>ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებები ადგილობრივ კომკავშირულ კომიტეტებთან ერთად</p> <p>სკოლების სამმართველო სამინისტროს სხვა სამმართველო-განყოფილებებთან ერთად</p>

საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს
სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის კოლექტივისა და საქართველოს
ველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1982 წლის
22 აპრილის ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რესპუბლიკაში საბავშვო და საყმაწვილო კინემატოგრაფიის მდგომარეობისა და შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „რესპუბლიკაში საბავშვო და საყმაწვილო ფილმების წარმოებისა და ჩვენების გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა შესახებ“ შუქზე

საქართველოს სსრ სახკინოს კოლეგია და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის სამდივნო, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის ბიურო აღნიშნავენ, რომ სკკპ ცკ-ის და საქართველოს კპ ცკ-ის დადგენილებები საბავშვო და საყმაწვილო ფილმების წარმოებისა და ჩვენების გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა შესახებ წარმოადგენენ მნიშვნელოვან სახელმძღვანელო დოკუმენტებს, რომლებიც ასახავენ პარტიის განუხრელ ზრუნვას მოზარდი თაობის აღზრდაზე, კონკრეტული სიცხადით აყენებენ რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა წინაშე ქართული საბავშვო და საყმაწვილო კინოხელოვნების შემდგომი განვითარების ამოცანებსა და პერსპექტივებს. საქართველოს კპ ცკ აღნიშნული დადგენილებით მიზნად უსახავს რესპუბლიკის კინემატოგრაფიის ყველა მუშაკს პირველხარისხოვან ამოცანად მიიჩნიოს მომავალი თაობის აღზრდაზე ზრუნვა და სკკპ 26-ე და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების მიერ დასახული ამოცანების შუქზე კონკრეტულად განიხილოს საბავშვო და საყმაწვილო ფილმების წარმოებისა და ჩვენების თითოეული საკითხი.

გამომდინარე სკკპ ცკ-ის დადგენილების „საბჭოთა კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ და საქართველოს კპ ცკ-ის დადგენილების „ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ ცხოვრებაში გატარების შედეგებიდან, საქართველოს კპ ცკ თავის დადგენილებაში აღნიშნავს, რომ ქართული კინოს ოსტატებმა, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შესამჩნევ ჩამორჩენას განიცდიდნენ საბავშვო კინოხელოვნების სფეროში, საგრძნობლად გაააქტიურეს მუშაობა მოზარდი თაობისათვის განკუთვნილი კინოფილმების შესაქმნელად: საქართველოს სსრ სახკინოსა და საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის მიერ გარკვეული მუშაობაა გაწეული კინოს საშუალებებით მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში და არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად. ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო დოკუმენტების, აგრეთვე საკავშირო სახკინოს შესაბამისი დადგენილების გადაწყვეტილებათა განხორციელების

მიზნით უკანასკნელ წლებში გატარდა მთელი რიგი კონკრეტული რე-
ნისიციებები. კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ შეიქმნა ორსერიანი მუ-
სიკალური სატელევიზიო ფილმი „რწყილი და ჭიანჭველას ახალი თავ-
გადასავლები“ (ქართული ხალხური ზღაპრის „რწყილი და ჭიანჭველას“
მოტივებზე, რეჟ. კ. სურმავა, 1980), სრულმეტრაჟიანი ფილმები „ძახი-
ლი“ (რეჟ. ყ. მგელაძე, 1979), „ძნელი დასაწყისი“ (რეჟ. თ. მაღალაშვი-
ლი, 1981) და სხვა. მიმდინარე წლის თებერვალში ტელევიზიით შედგა
პრემიერა მხატვრული სრულმეტრაჟიანი ტელეფილმისა „შვიდი პატარა
მოთხრობა პირველ სიყვარულზე“ (რეჟ. გ. მატარაძე, 1981). ამჟამად
წარმოებაში ჩაგებულია და მიმდინარე წელს გამოვა მხატვრული ფილ-
მი „ბობრა“ (რეჟ. ბ. რაჭველიშვილი), დასადგმელად დამტკიცებულია
ფილმ-ზღაპრის „ლახუნდარელის თავგადასავლის“ ლიტერატურული
სცენარი (ამხ. გ. ბაღრიძე) და ა. შ. კინოსტუდია „ქართული ფილმის“
მულტგაერთიანების წლიურ პროდუქციაში მნიშვნელოვანი ადგილი
უჭირავს მულტფილმებს პატარებისათვის.

საქართველოს კპ ცკ-ის დადგენილებაში აღინიშნა, რომ უკანასკნელ
წლებში შექმნილი საბავშვო და საყმაწვილო ფილმები გამოირჩევა რო-
გორც თემატური, ასევე ქართული მრავალფეროვნებით. ამაღლდა მულ-
ტიპლიკაციური ფილმების იდეურ-მხატვრული დონე.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ გარკვეული ძვრები მოხდა რეს-
პუბლიკის ბავშვთა აუდიტორიის კინომომსახურების გაუმჯობესების
საქმეშიც, განმტკიცდა საქმიანი კონტაქტები სახალხო განათლების ორ-
განობთან, კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებთან.

ამასთან, საქართველოს სსრ სახკინოს კოლეგია, საქართველოს კი-
ნემატოგრაფისტთა კავშირის სამდივნო, საქართველოს სსრ განათლე-
ბის სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკც ცენტრალური კომი-
ტეტის ბიურო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკაში საბავშვო და საყმაწვი-
ლო ფილმების წარმოება და ჩვენება კვლავაც რჩება იმ სფეროდ, რო-
მელშიც ჭერაც ბევრია გასაუმჯობესებელი, გამოსასწორებელი და და-
საძლევია. ამ დარგში არსებული ის სერიოზული ნაკლოვანებები, რომ-
ლებიც ხაზგასმითა აღნიშნული საქართველოს კპ ცკ-ის დადგენილე-
ბაში, მოითხოვს აქტიურ შრომას და არსებული პრობლემების კონკრე-
ტულ გადაჭრას უახლოეს მომავალში. ჭერ კიდევ არასრულყოფილად
არის გამოყენებული მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში ის იდეურ-
მხატვრული პოტენციალი, რომელიც ქართულ კინემატოგრაფიას გაა-
ჩნია. იმ მკირერიცხოვან კინოფილმებს შორის, რომლებიც ბავშვთა აუ-
დიტორიისათვის არის განკუთვნილი, გვხვდება უფერული, დაბალხარის-
სხოვანი ნაწარმოებები. ზოგ შემთხვევაში საბავშვო ფილმის მარკით
იქმნება სურათები, რომლებშიც, თუმცა გამოყენებულია ბავშვთა თემა,
მაგრამ ნაწარმოები მთლიანობაში განკუთვნილი არ არის ნორჩი მაყუ-
რებლისათვის. ჭერ კიდევ ცოტაა ქართული მხატვრული ფილმები,
რომლებიც აშუქებენ შრომითი აღზრდის, ზნეობრივი ჩამოყალიბების,

მა ყველა ორგანიზაციამ და უწყებამ:

— ყოველდღიური საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩათვალონ კინოს როლის ამაღლება მოზარდი თაობის აღზრდაში სკკპ 26-ე და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების გადაწყვეტილებათა, სკკპ ცკ-ის, საქართველოს კპ ცკ-ის და სსრკ სახკინოს მიერ ბავშვთა და საყმაწვილო ფილმების წარმოებისა და ჩვენების გაუმჯობესების საკითხებზე მიღებული დადგენილებების შუქზე. ამ მიზნით, უფრო ხშირად, გამოცდილ ოსტატთა ორიენტირება მიმართონ საყმაწვილო თემატიკაზე, ფართოდ მიიზიდონ ბავშვებისათვის განკუთვნილი ფილმების შესაქმნელად ნიჭიერი მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები. მიაღწიონ ქართული საბავშვო და საყმაწვილო თემატიკის მხატვრული, მულტიპლიკაციური, სატელევიზიო, დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული და სასწავლო ფილმების იდეურ-მხატვრული დონის ყოველმხრივ ამაღლებას. პრაქტიკაში დაწინაურდნ საბავშვო და საყმაწვილო ფილმების წარმოების გამოცდილების გაცვლა მ. გორკის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო ფილმების სტუდიასთან და სხვა სტუდიებთან. ხელი შეუწყონ საბავშვო კინემატოგრაფიის და პრაქტიკის საკითხების სამეცნიერო კვლევის განვითარებას, რესპუბლიკის ბავშვთა და მოზარდთა კინომომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას.

2. მიმდინარე წლის აპრილში გამოცხადდეს კონკურსი საუკეთესო საბავშვო მხატვრული, მულტიპლიკაციური, დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სკენარზე.

3. მიმდინარე წელს ჩატარდეს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი საბავშვო და საყმაწვილო ფილმების წარმოებისა და დემონსტრირების საკითხებზე კინოფიკაციისა და კინოგაჩირავების, განათლების ორგანოების, კომკავშირისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების ფართო მონაწილეობით.

4. დამტკიცდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ სახკინოსა და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის ერთობლივ მოსამზადებელ ღონისძიებათა გეგმა და უზრუნველყოფილ იქნას მისი შესრულება (დანართი № 1).

5. ეთხოვოს საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს ბავშვთა აუდიტორიისათვის განკუთვნილი კინოგადაცემათა ისეთი ციკლების შექმნა, როგორიცაა:

ა) სასწავლო გადაცემათა სერია-კინოხელეოვნების კურსი მოსწავლეთათვის.

ბ) კინორუბრიკა, რომელშიც გარკვეული პერიოდულობით ნაჩვენები იქნება საბავშვო ფილმები.

გ) სამეცნიერო-პოპულარულ კინოფილმებზე აგებული შემეცნებითი ხასიათის გადაცემათა ციკლი.

დ) რუბრიკა „ჯადოსნური ფანჯარა“ საბავშვო კინორეპერტუარის სარეკლამო გადაცემათა ციკლი.

6. სისტემატურად იქნან მოწვეულნი ბავშვთა აუდიტორიასთან შესახვედრად კინოხელოვნების მოწინავე წარმომადგენლები, კინოს სპეციალისტები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, მოკავშირე რესპუბლიკებიდან.

7. კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ (ამხ. ამხ. რ. ჩხეიძე, ა. ჭიჭინაძე):

— 1982 წლის პირველ ნახევარში შეიმუშაოს 1983-1986 წლების საბავშვო და საყმაწვილო ფილმების, მათ შორის მულტფილმების, პერსპექტიული-თემატური გეგმა. ნორჩი მაყურებლის მრავალფეროვანი ინტერესების, ისტორიისა და თანამედროვეობის ღრმა წვდომისათვის მათი მისწრაფების გათვალისწინებით;

— 1982—1985 წლებში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს საბავშვო და საყმაწვილო თემატიკის სცენარების მომზადებას, პირველ რიგში ისეთი სცენარების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოზარდი თაობის აღზრდას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე.

გამოყოს კინოსტუდიის სასცენარო-სარედაქციო კოლეგიის რედაქტორთაგან საბავშვო და საყმაწვილო კინოს პროფილის სპეციალური რედაქტორი და დააკისროს მას საბავშვო კინემატოგრაფიის სფეროში სასცენარო-სარედაქციო მუშაობის წარმართვისა და კოორდინაციის მოვალეობანი.

— მიიზიდოს საბავშვო და საყმაწვილო ფილმების შესაქმნელად კინოსტუდიის წამყვანი შემოქმედებითი ძალები, პირველ რიგში ის რეჟისორები, რომელთაც საბავშვო კინოს პროფილით სპეციალური განათლება აქვთ მიღებული, ან გააჩნიათ გარკვეული გამოცდილება კინემატოგრაფიის ამ სფეროში.

— მიიღოს მხედველობაში:

— სსრკ სახკინოს კოლეგიის დადგენილებით „საბავშვო და საყმაწვილო კინემატოგრაფიის მდგომარეობისა და მისი შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ დამტკიცებულია, რომ საბავშვო მხატვრული კინოფილმები, რომლებშიაც ძირითადად შემსრულებლები არიან ბავშვები 15 წლის ასაკამდე, სადადგმო შემოქმედებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით რთულ ფილმებად ითვლებიან. ამასთან დაკავშირებით მოკავშირე რესპუბლიკების სახკინოებს და საკავშირო დაქვემდებარების კინოსტუდიებს ნება დაერთოთ გაუდიდონ პრემიათა საერთო თანხა 16 ათას მანეთამდე ერთი სრულმეტრაჟიანი კინოფილმისათვის საბავშვო მხატვრული კინოფილმების გადაძღვების ჯგუფების ძირითად შემადგენლობას. ამასთან ერთად, გადაღების პერიოდში ამ თანხიდან შეიძლება გადახდილ იქნას 8 ათასი მანეთი.

ამავე დადგენილებით კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ დაევალა დაწყებული 1983 წლიდან ყოველწლიურად უზრუნველყოს მცირე ასა-

კის ბავშვებისათვის არანაკლებ ერთი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის გამოშვება.

— მიმდინარე წლის მეორე ნახევარში შესწავლილ იქნას კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ არსებული შტატების ფარგლებში საბავშვო ფილმებისათვის ცალკე გაერთიანებად გამოყოფის შესაძლებლობის საკითხი.

8. მიღებულ იქნას ცნობად საქართველოს პროფსაბჭოს მდივნის წინადადებები პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე (დანართი № 2).

9. კინოსტუდია „ქართული ფილმის“. კინოდრამატურგთა გაერთიანებამ (ამხ. რ. თაბუკაშვილი):

— უზრუნველყოს სტუდიის „სასცენარო პორტფელის“ მომარაგება მაღალი იდეურ-მხატვრული დონის საბავშვო და საყმაწვილო თემატიკის მხატვრული, სატელევიზიო და მულტიპლიკაციური სცენარებით.

10. კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ (ამხ. ამხ. რ. ჩხეიძე, ა. ჭიჭინაძე) და სტუდიის მულტიპლიკაციური ფილმების გაერთიანებამ (ამხ. ამხ. რ. სისორდია, მ. კაკაბაძე):

— 1983 წლიდან მომავალი წლების თემატურ დაგეგმვაში გაითვალისწინონ გაერთიანების 7 ერთეულიდან 4 საბავშვო მულტიპლიკაციური ფილმის შექმნა.

11. კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ (ამხ. რ. ჩხეიძე) და სტუდიის სადუბლიაჟო და აღდგენითი ფილმების გაერთიანებამ (ამხ. ამხ. გ. ბეგიაშვილი, ვ. ტაბლიაშვილი):

— განსაზღვროს გაერთიანების წლიურ პროდუქციაში საუკეთესო საბჭოთა საბავშვო ფილმების რაოდენობა არა უმცირეს 8 ფილმისა.

— გაითვალისწინოს ორი საწარმოო ერთეულის ხარჯზე ბავშვებისათვის განკუთვნილი საბჭოთა მულტიპლიკაციური ფილმების დუბლირება (15-17 ნაწილი).

12. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინომსახიობის თეატრმა (ამხ. მ. თუმანიშვილი):

— ყოველწლიურად (მიმდინარე წლის ჩათვლით) შექმნას ბავშვთა აუდიტორიისათვის განკუთვნილი სპექტაკლები (არაუმცირეს ერთი დადგმისა) და პრაქტიკაში დანერგოს დილის წარმოდგენა.

13. საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიამ (ამხ. ამხ. ა. თუშმალიშვილი, ნ. დროზდოვი):

— დააკისროს სტუდიის ერთ-ერთ რედაქტორს საბავშვო და საყმაწვილო კინემატოგრაფიის სფეროში სასცენარო-სარედაქციო მუშაობის წარმართვისა და კოორდინაციის მოვალეობანი.

— უზრუნველყოს საბავშვო და საყმაწვილო ფილმების იდეურ-მხატვრული დონის, მისი ესთეტიკური და პედაგოგიური ზემოქმედების ამაღლება. ამ მიზნის განსახორციელებლად მაქსიმალურად გამოიყენოს

როგორც რესპუბლიკური ისე საკავშირო ეკრანისათვის განკუთვნილი საწარმოო ერთეულები.

— გაზარდოს სასწავლო ფილმების რაოდენობა.

14. საქართველოს სსრ სახკინოს რედაქტორატმა (ამხ. რ. პირიანაშვილი) და კინოწარმოების სამმართველომ (ამხ. პ. ბარამიძე):

— მიმდინარე წლის აპრილის ბოლომდე საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიასთან მოამზადოს წინადადებები საბავშვო კინოჟურნალის გამოშვების შესახებ.

— მიმდინარე წლის აპრილის ბოლომდე კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექციისა და მულტგაერთიანებასთან ერთად მოამზადოს წინადადებები მულტგაერთიანების პროდუქციის გადიდების შესახებ.

— მიმდინარე წელს შეისწავლოს და კოლეგიას წარმოუდგინოს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მულტგაერთიანებაში დიაფილმების წარმოების საკითხი და შემოიტანოს კონკრეტული წინადადებანი ბავშვთა აღზრდის საქმეში ამ დარგის უფრო მიზანდასახული გამოყენებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ.

15. საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის საბავშვო კინოს სექციამ (ამხ. ნ. ნენოვა):

— გამოცდილების გაზიარების მიზნით კავშირი დაამყაროს კინოს თეორიისა და ისტორიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან.

16. საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის კინოკრიტიკის სექციამ (ამხ. თ. თაბუკაშვილი):

— უზრუნველყოს საბავშვო და საყმაწვილო კინემატოგრაფიის პრობლემებზე რესპუბლიკის პერიოდიკაში, ტელევიზიასა და რადიოში კრიტიკული და თეორიული პუბლიკაციის სისტემატური გამოქვეყნება, საკითხის ყოველმხრივი და ღრმა ანალიზი, მისი თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შესწავლა.

17. თბილისის კინოსახლმა (ამხ. ბ. ადამაშვილი):

— სისტემატურად ჩაატაროს შეხვედრები შემოქმედებით მუშაობებთან, ჩვენებები, მხატვრულ და მულტიპლიკაციურ ფილმთა პრემიერები და სხვა კონკრეტული ღონისძიებები ბავშვთა აუდიტორიისათვის.

18. კინოხელოვნების პროპაგანდის საკავშირო ბიუროს საქართველოს განყოფილებამ (ამხ. გ. ჩიკვაძე):

— ფართო პროპაგანდა გაუწიოს საბავშვო თემატიკის ფილმებს, უფრო ხშირად და მიზანდასახულად გაუკეთოს ორგანიზება ბავშვთა აუდიტორიისათვის განკუთვნილ კინოლექტორიუმებსა და სხვა ღონისძიებებს როგორც თბილისში, ასევე რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში, განსაკუთრებით კი მაღალმთიან რაიონებში.

— სისტემატურად ჩაატაროს კინოლექტორიუმი ბავშვთა აუდიტორიისათვის თბილისის კინოსახლში.

19. საქართველოს სსრ სახკინოს კინოფიკაციისა და კინოგაქირავების

სამმართველომ, აფხაზეთისა და აჭარის ასრ კინოკომიტეტებმა, სამხრეთ-ოსეთის ა/ო და ქ. თბილისის კინოფიკაციის სამმართველოებმა, საქალაქო და რაიონულმა კინოფიკაციის დირექციებმა, კინოგაქირავების განყოფილებებმა და განყოფილებებმა:

— ქალაქისა და სოფლის კინოქსელში 1983 წლიდან გაზარდონ ბავშვთა და მოზარდთათვის განკუთვნილი კინოსეანების რაოდენობა. ამ მიზნით მუდმივმოქმედი საერთო ეკრანის იმ კინოთეატრებში (როგორც ქალაქად, ასევე სოფლად), რომლებიც დაგეგმილი არიან 1-დან 4 სეანსამდე დღეში, ყოველდღიურად ჩაატარონ ერთი საბავშვო კინოსეანის, ხოლო დასვენების, სადღესასწაულო და არდადეგების დღეებში — 2 საბავშვო კინოსეანის.

— გაითვალისწინონ, რომ რესპუბლიკის მასშტაბით სკოლების უმრავლესობა გადასულია მუშაობის ერთცვლიან რეჟიმზე და ამ მხრივ გადასინჯონ საბავშვო კინოსეანების დაგეგმვის წესი, კერძოდ: იმ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, სადაც სკოლები მთლიანად არიან გადასული სწავლების ერთცვლიან რეჟიმზე, საერთო ეკრანის კინოთეატრებმა დღის მეორე ნახევარში, 18 საათამდე, დაგეგმონ საბავშვო კინოსეანის (გარდა დასვენების, სადღესასწაულო და არდადეგების დღეებისა).

— გააუმჯობესონ ნორჩ მაცურებლებთან მუშაობა. სპეციალიზებული და საერთო ეკრანის კინოთეატრებში და კინოდანადგარებზე გაზარდონ ლენინური, პროფორიენტაციის, ესთეტიკური აღზრდის კინოკლუბებისა და კინოლექტორიუმების რაოდენობა, კინოს საშუალებით აღმზრდელობით მუშაობაში ჩააბან კინომაცურებელთა ფართო ფენები.

— კინოგაქირავების კანტორებმა და განყოფილებებმა ამაღლონ საბავშვო ფილმების რეპერტუარის ეფექტური გამოყენება, მიაღწიონ მათ ყველა კინოდანადგარზე ჩვენებას, მიუხედავად მათი საუწყებო დაქვემდებარებისა.

— უზრუნველყონ საბავშვო მულტიპლიკაციური ფილმების ინტენსიური და მიზანდასახული გამოყენება საბავშვო სეანსებზე (ჩულტ-ფილმების კრებულები, განანგრძლივებული სეანსები და სხვა). წესად შემოიღონ დედაქალაქში ახალი ქართული მულტფილმების პრემიერების ჩატარება.

20. კინოკომიტეტის საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ვ. ჩხარტიშვილი) რესპუბლიკის 1983 წლის გეგმის პროექტის შედგენის დროს გაითვალისწინოს ამ გადაწყვეტილებით დაწესებული საბავშვო კინოსეანების დამატებითი ჩვენება და ამასთან დაკავშირებით საჭიროების შემთხვევაში ზოგიერთი კინოთეატრისათვის საექსპლოატაციო ხარჯებში სათანადო ცვლილებების შეტანა.

21. საქართველოს სსრ სახკინოს კინოფიკაციისა და კინოგაქირავების სამმართველომ (ამხ. ს. ტაბატაძე):

— რეგულარულად ჩაატაროს ბავშვთა სპეციალიზებული კინოთეატრების რესპუბლიკური დათვალიერება-სემინარები, აგრეთვე სემინარები კინოს მუშაკთათვის ბავშვთა და მოზრდილთა კინომომსახურების შემდგომი სრულყოფის აქტუალურ საკითხებზე.

ამაღლოს რესპუბლიკაში ფილმის საკავშირო დათვალიერებისა და კინოფესტივალის „სალამი სკოლავ!“ საორგანიზაციო დონე და აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

— სრულყოფილი და საყმაწვილო აუდიტორიისათვის განკუთვნილი ფილმების ჩვენებისა და პროპაგანდის მასობრივი ფორმები კინოქსელისა გაქირავების მოწინავეთა გამოცდილების საყოველთაო მონაპოვრად გადაქცევის მიზნით.

— დაამყაროს უფრო მჭიდრო, საქმიანი კონტაქტები სასწავლო დაწესებულებებთან, სახალხო განათლების ორგანოებთან, კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებთან. უფრო ღრმა შინაარსი მისცეს ერთობლივ ღონისძიებებს.

— დიდი ყურადღება დაუთმოს სარეპერტუარო პოლიტიკის გატარებას. ამ მიზნით მაქსიმალურად გამოიყენოს კინოგაქირავების მოქმედ ფონდში არსებული საბავშვო და საყმაწვილო თემატიკის ფილმთა ასლები. უზრუნველყოს წარსული წლების საუკეთესო ფილმების განმეორებითი ჩვენება.

— ფართოდ დანერგოს პრაქტიკაში ბავშვთა კინომომსახურების სფეროს მუშაკთა თათბირ-სემინარები.

22. საქართველოს სსრ სახკინოს კინოფიკაციისა და კინოგაქირავების (ამხ. ს. ტაბატაძე) და კინოტექნიკის (ამხ. ვ. გუბელაძე) სამმართველოებმა.

— მიმდინარე წელს გაარკვიონ სკოლებსა და სასწავლებლებში ბავშვთა სპეციალიზებული კინოთეატრების (დარბაზების) გახსნის შესაძლებლობა და შესაძლებლობის მიხედვით მინიმალურ ვადაში უზრუნველყონ მათთვის კინოსაპროექციო აპარატურისა და საჭირო მოწყობილობის გამოყოფა და დამონტაჟება.

23. საქართველოს სსრ სახკინოს კინოფიკაციისა და კინოგაქირავების სამმართველომ (ამხ. ს. ტაბატაძე) და მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. ე. სუხიშვილი):

— მიმდინარე წლის აპრილის ბოლომდე შეიმუშაოს და კოლეგიაზე განსახილველად წარმოადგინოს კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა საყმაწვილო ფილმების რესპუბლიკის ეკრანებზე ჩვენებისა და ბავშვთა აუდიტორიასთან მუშაობის საკითხებზე.

ყოველთვიურად დაამუშაოს და მიაწოდოს რესპუბლიკის კინოქსელს საბავშვო და საყმაწვილო ფილმების ჩვენებისათვის განკუთვნილი მეთოდური რეკომენდაციები და მითითებები.

— თანმიმდევრულად წარმართოს და უხელმძღვანელოს ბავშვთა

აუდიტორიასთან მეთოდურ მუშაობას, დააწესოს მასზე სისტემატური კონტროლი.

24. საქართველოს სსრ სახკინოს სარეკლამო-საინფორმაციო განყოფილებამ (ამხ. ნ. დუმბაძე):

— სისტემატურად გაუკეთოს რეკლამა საბავშვო და საყმაწვილო თემატიკის ფილმებს, ინტენსიურად გააშუქოს ბიულეტენ „ახალ ფილმებში“ კინემატოგრაფიის ამ სფეროს სიახლეები, მეტი ადგილი დაუთმოს მას კრებულში „კინოს ფურცლებზე“, აამაღლოს საბავშვო და საყმაწვილო თემატიკის ფილმებისათვის განკუთვნილი სარეკლამო ბუკლეტების, პროსპექტების, პლაკატების ხარისხი.

— პერიოდულად გამოსცეს ფერადი ილუსტრირებული პროსპექტები ქართული საბავშვო მულტფილმების შესახებ.

25. ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეებს ამ. ნ. ხოზბერიძეს, ამხ. ა. ძიძიგურს, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანს ამხ. გ. დვალიშვილს, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილეს ამხ. მ. კობახიძეს, საქართველოს ალკვ ცკ მდივანს ამხ. ვ. ლორთქიფანიძეს.

საქართველოს სსრ სახკინოს თავმჯდომარე

საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ა. დვალიშვილი

ი. ორჯონიკიძე


საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი მდივანი

საქართველოს მინისტრი

სსრ განათლების

ე. შენგელაია

ო. ქინქლაძე



საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, პროფსაბჭოს და პროფტექგანათლების კომიტეტის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „ბავშვთა და მოზარდთათვის ფილმების წარმოებისა და ჩვენების გაუმჯობესების შესახებ“ შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებათა გეგმა

№	ღონისძიებათა დასახელება	შესრულების ვადა	პასუხისმგებელი შესრულებაზე
1	2	3	4
1.	დამტკიცდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პროფტექგანათლების ქსელში კინემატოგრაფიის საფუძვლების, სკოლების კინოგანათლების ფორმათა შემდგომი განვითარების მიზნით ჩასატარებელ ღონისძიებათა გეგმა	/ 1982 წლის 1 ნა-ხევარი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი, საქართველოს სსრ სახელმწიფო კინოკომიტეტი, საქართველოს ალკც ცკ
2.	ბავშვთა სპეციალიზებული სასკოლო, პიონერული კინოთეატრების რაოდენობის გაზრდა. ისტორიულ-რევოლუციური, სათავგადასავლო, სპორტული ფილმების კინოკლუბების შექმნა	მუდმივად	საქართველოს სსრ სახელმწიფო კინოკომიტეტი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს ალკც ცკ, პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტი
3.	ქალაქებისა და რაიონული ცენტრების საერთო ეკრანებსა და საბავშვო კინოთეატრებში, სადაც ეს შესაძლებელია, ყოველ დღე მეორე ნახევარში 18 სათამდე ერთი საბავშვო კინოსეანსის, ხოლო დასვენების, საღესთნისა და არდადეგების დღეებში ორი საბავშვო კინოსეანსის დაგეგმვა	მუდმივად	საქართველოს სსრ კინოფიციისა და კინოგაქირავეების სამმართველო



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

1	2	3	4
4.	<p>რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფტექგანათლების სისტემის სასწავლებლებზე საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის საშეფო მუშაობის ფართოდ გაშლა.</p> <p>საშეფო მოძრაობის კოორდინირება და კონტროლზე აყვანა</p> <p>5. ბავშვთა სპეციალიზებული და სასკოლო კინოთეატრების მუშაობის პრაქტიკაში ნორჩი მაყურებლის მიხედვით პროგრესული მეთოდების დანერგვა:</p> <p>კინოკუთხეების მოწყობა, კოლექტიური დასწრებები, ფილმების დაკვეთით ჩვენება, კინოს ბილეთების სკოლებში და პროფტექნიკურ სასწავლებლებში გავრცელება.</p> <p>პიონერულ ბანაკებსა და მასობრივი დასვენების ადგილებში საბავშვო თემატიკის ფილმების ჩვენება</p>	<p>1982 წლის აპრილის ბოლომდე</p> <p>მუდმივად</p> <p>მუდმივად</p> <p>სისტემატურად</p> <p>მე-11 ხუთწლედ</p> <p>1982-85 წწ.</p>	<p>საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი</p> <p>საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტი, პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტი, პროფსაბჭო, საქართველოს კინოფიკაციისა და კინოგაქირავეების სამმართველო</p> <p>საქართველოს კინოფიკაციისა და კინოგაქირავეების სამმართველო</p> <p>საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო</p> <p>საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ სახელმწიფო კინოკომიტეტი</p>
6.	<p>ახალი საბავშვო ფილმების პრემიერების, კინოფესტივალების და თემატური ფილმების ბავშვთა სპეციალიზებულ კინოთეატრებში ჩატარება</p>	<p>მუდმივად</p>	<p>საქართველოს კინოფიკაციისა და კინოგაქირავეების სამმართველო</p>
7.	<p>საბავშვო რეპერტუარის ფილმების დაგეგმვის სრულყოფა და საბავშვო სექციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ღონისძიებების გატარება</p>	<p>სისტემატურად</p>	<p>საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო</p>
8.	<p>საბავშვო სპეციალიზებული კინოთეატრებისა და სასკოლო კინოთეატრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება; ამ მიზნით 1982-85 წლებში:</p> <p>5 სასკოლო კინოთეატრის გახსნა ქალაქად</p> <p>9 სასკოლო კინოთეატრის გახსნა სოფლად</p> <p>ბავშვთა სპეციალიზებული კინოთეატრების კეთილმოწყობის მიზნით:</p>	<p>მე-11 ხუთწლედ</p>	<p>საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ სახელმწიფო კინოკომიტეტი</p>



	<p>— ბავშვთა სპეციალიზებულ კინოთეატრებში კაპიტალური რემონტის ჩატარება</p> <p>— ბავშვთა სპეციალიზებული კინოთეატრების ინტერიერის გაფორმების მიზნით საჭირო რეკომენდაციების შემუშავება</p>		
9.	<p>საბავშვო თემატიკის ფილმების ანოტირებული კატალოგების გამოცემა და მათი სახალხო განათლების ორგანოებში გავრცელება</p>	<p>მუდმივად</p>	<p>საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს კინოგაქირავეების სამმართველო</p>
10.	<p>ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში კინომომსახურების მდგომარეობის შესწავლა და მუშაობის გაუმჯობესების მიზნით კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება</p>	<p>1982 წლის მაისი</p>	<p>საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირი</p>
11.	<p>რესპუბლიკის სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში კინოწრეების მუშაობის შესწავლა, მათი მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებელ ღონისძიებათა განხორციელება (შეხვედრები, საუბრები, ექსკურსიები და ა. შ.)</p>	<p>1982 წლის მაისი</p>	<p>საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირი</p>
12.	<p>მოსწავლე ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი მხატვრული, ქრონიკალურ-დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული და სასწავლო ფილმების არსებული ფონდის შესწავლა და განაწილება, იმ ფილმების აღრიცხვა, რომელთა გამოყენებაც მიზანშეწონილია სასწავლო პროცესისათვის სასკოლო კინოდანადგარებზე.</p>	<p>1982 წლის მე-2 კვარტალი</p>	<p>საქართველოს კინოგაქირავეების სამმართველო, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო</p>
13.	<p>ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში, პროფტექსასწავლებლებში არსებული კინოდანადგარების აღრიცხვაზე აყვანა</p>	<p>1982 წელი</p>	<p>საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და საქართველოს კინოგაქირავეების სამმართველო</p>
14.	<p>საბავშვო ფილმების პროპაგანდისა და რეკლამირების გაუმჯობესება, ბავშვთა სპეციალიზებულ კინოთეატრებში კინოპანორამების ჩატარება, ნორჩი მყურებლების შეხვედრა საბჭოთა კინოს მოღვაწეებთან.</p>	<p>მუდმივად</p>	<p>საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს კინოფიკაციონსა და კინოგაქირავეების სამმართველო</p>



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

1	2	3	4
